საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 258 (537) შაბათი, 19 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

[illegible] შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აქტიურობენ სნაიპერები

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების წინავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობენ, რომ 17 დეკემბერს მოწინააღმდეგე კვლავ სისტემატურად არღვევდა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მათი მხრიდან მდინარე გუმისთაზე არ წყდებოდა კანტიკუნტი სროლა ჩვენი მიმართულებით, განსაკუთრებით აქტიურობდნენ სნაიპერები, რომელთა ტყვიითაც დაიღუპა ერთი ჩვენი მებრძოლი და ერთი დაიჭრა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი სამხედრო ნაწილები არ არღვევენ შეთანხმებას და მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე არ უპასუხებენ.

ოჩამჩირის რაიონში მცირე მასშტაბის შეტაკებები მოხდა ტამიშის მიდამოებსა და სოფელ ლაბრასთან. ბრძოლები მოწინააღმდეგისათვის სრულიად უშედეგოდ დამთავრდა და გარკვეული ზარალით დაიხია უკან.

18 დეკემბრის დილიდან რუსეთის ვერტმფრენის დაღუპვის ადგილზე მაღალმთიან სოფელ ლათაში გაემგზავრნენ რუსეთის თავდაცვის კომისიის წევრები აფხაზეთის პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად. ისინი სწავლობენ ვერტმფრენის დაღუპვის მიზეზებს.

რაც შეეხება მდგომარეობას ქალაქში, იგი შედარებით ნორმალურია, მაგრამ კვლავ არ არის ელექტროენერგია, წყალი მოდის ქალაქის ცალკეულ რაიონებში. ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ობიექტების ელექტრომომარაგება ხდება დიზელის დანადგარებით, მუშაობს ადგილობრივი რადიო, სტამბა, გამოდის ადგილობრივი პრესა.

მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ თბილისიდან მაინც ჩამოაქვთ რესპუბლიკური და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები. მუშაობს რკინიგზა, ზოგიერთი სკოლა.

შეიქმნა ქალაქის მერია

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, ქ. სოხუმში შეიქმნა მერია, რომელსაც დაეკისრა ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მოვალეობა.

სოხუმის მერის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა გურამ გაბისკირია.

გაუქმდა კომიტეტი

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა აფხაზეთის მდგომარეობის სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტი, რომელიც შეიქმნა აგვისტოს ბოლოს. კომიტეტის წევრებს გამოეცხადა მადლობა აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დროს ექსტრემალურ პირობებში ეფექტიანი მუშაობისათვის.

შეიცვალა სახელი

აფხაზეთის მინისტრთა საბჭო დაეთანხმა ქ. სოხუმის მერის გ. გაბისკირიას წინადადებას ქალაქის ლენინის სახელობის მოედნის ალორძინების მოედნად გადარქმევის შესახებ.

იოსებ ბობეჩია.

ამ დღეებში

გთავაზობენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

ასე იბრძვიან რუსთაველები

აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბში რუსთავის ბატალიონის მოქმედებას მუდამ მაღალ შეფასებას აძლევენ, — უთხრეს საქინფორმის ფოტოკორესპონდენტს ბორის ალექსანდრიას. — მეომრები გამოირჩევიან დისციპლინით, საბრძოლო გაწვრთნილობით, გაბედულებით, ნებისმიერი დავალების შესრულებისათვის მზადყოფნით.

რუსთაველთა პოზიციებს რომ ეწვია, რეპორტიორი დარწმუნდა ამაში და აჩვენა კიდეც ეს თავის რეპორტაჟში, რომელიც მამაც რუსთაველ მეომრებს მიუძღვნა. მათ მოსპეს მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკა მდინარე გუმისთის ნაპირზე საბრძოლო მოქმედების დროს.

რეპორტაჟი აფხაზეთიდან

•

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

პარლამენტი განიხილავს კანონპროექტებს

18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა თავისი მუშაობის დადგენილ რეგლამენტს ერთგვარად გადაუხვია და პარასკევსაც მთელი დატვირთვით იმუშავა. პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ დილის სხდომის გახსნისას, ეს ახსნა საქართველოში შექმნილი საგანგებო ვითარებით, რომლის დროსაც, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მოვალეა მთელი დატვირთვით მუშაობდეს.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, პარლამენტი შეუდგა ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვას, როგორიცაა კანონი საქართველოს პარლამენტის კომისიების შესახებ. პარლამენტართა სამსჯავროზე იურიდიული კომისიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის მიერ წარმოდგენილმა ამ კანონპროექტის განხილვამ ცხარე კამათი გამოიწვია.

მუხლობრივი განხილვისას, პარლამენტის წევრებმა არაერთი შესწორება შეიტანეს კანონპროექტში.

პარლამენტის სხდომამ გვიანამდე გასტანა.

ვითანამშრომლებთ როგორც თანასწორთან

— ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა პრესკონფერენციას, რომელიც 18 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტში. პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურის ხელმძღვანელი რევაზ ეგაძე, მიეძღვნა საქართველოს პარლამენტის მიერ წინა დღით მიღებულ განცხადებას საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ბოლო დროს წამოჭრილი პრობლემების გამო. ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან ერთად, პრესკონფერენციას ესწრებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები და საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა ზოგიერთი საელჩოს თანამშრომლები.

აღინიშნა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მეტად დრამატული მომენტი დადგა, რომელმაც გამოიწვია კიდეც პარლამენტის ხსენებული განცხადების მიღება. მისი ძირითადი მიზანია, არა კონფრონტაცია და ურთიერთობის დაძაბვა, არამედ ის, რომ შევახსენოთ რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა უნდა აიგოს გაეროს წევრი ორი სუვერენული სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

პრესკონფერენციაზე ითქვა, აგრეთვე, აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების შვეულმფრენის კატასტროფის შესახებ. აღინიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მხარემ შექმნა სპეციალური კომისია, რომელთანაც თანამშრომლობასაც რუსეთის მხრიდან შექმნილი კომისია, სამწუხაროდ, გაურბის. წინასწარი მოკვლევით დასტურდება, რომ შვეულმფრენი უაღრესად გადატვირთული იყო — 24-26 მგზავრის ნაცვლად, მასში იმყოფებოდა 60-ზე მეტი მგზავრი, რაც შეიძლება გამხდარიყო კატასტროფის მიზეზი. მით უმეტეს, რომ ჩამოვარდნილი შვეულმფრენის წინასწარი დათვალიერებისას, სასროლი ან ასაფეთქებელი იარაღით მიყენებული რაიმე დაზიანება მას არ აღმოაჩნდა. რაც შეეხება „შავ ყუთს“, მის გაშიფვრაზე მუშაობს ლაბორატორია.

საქმეებს განიხილავენ სამხედრო სასამართლოები

საქართველოს რესპუბლიკის

პროკურატურის განცხადება

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის რეგიონში შეიქმნა სამხედრო საველე სასამართლო, რომელმაც უკვე განიხილა ორი საქმე და განსასჯელებს შეუფარდა სიკვდილით დასჯა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ამ ცნობის გამოქვეყნებისთანავე, რასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, რესპუბლიკის პროკურატურამ წარდგინება შეიტანა თავდაცვის სამინისტროში და მოითხოვა აღნიშნული სამხედრო საველე სასამართლოს, როგორც ანტიკონსტიტუციურ ორგანოს, საქმიანობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. პროკურატურის მოთხოვნა გაზიარებული იქნა. გაუქმდა ქალაქ სოხუმის სამხედრო-საველე სასამართლო და კატეგორიულად აიკრძალა შეიარაღებულ ძალებში რაიმე საგანგებო სასამართლოების შექმნა და საქმიანობა. რაც შეეხება სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკვე განხილულ საქმეებს, მთავარ სამხედრო პროკურატურას დაევალა მათი ფაქტობრივი გარემოებებისა და დასკვნების სისწორის შემოწმება და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

ამჟამად საქმეებს იმ დანაშაულობათა შესახებ, რასაც ჩაიდენენ სამხედრო მოსამსახურეები, აგრეთვე საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურისა და შინაგანი ჯარების ოფიცრები და რიგითები, განიხილავენ სამხედრო სასამართლოები, რომლებიც შეიქმნა რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე და მართლმსაჯულებას განახორციელებენ საერთო სამოქალაქო სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმებისა და წესის დაცვით.

პროფესორი იგორ ბოგომოლოვი:

საქართველოს რუსები მხარს ვუჭერთ რესპუბლიკის პარლამენტის განცხადებას

უკვე რამდენიმე დღეა რუსეთის პარლამენტსა თუ მასობრივ-ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარეობს გაუთავებელი ალვირახსნილი კამპანია საქართველოს, მისი ხალხის წინააღმდეგ, ეთერსა თუ პრესაში გადაიცემა და ქვეყნდება რუსეთის ზოგიერთი პოლიტიკოსის, მინისტრის ღვარძლიანი უსაფუძვლო განცხადებები, რომლებშიც მათთვის ჩვეული იმპერიული რიხითა და მუქარით მიეწოდება საზოგადოებრიობას სრული დეზინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, იმ ამაზრზენ ფაქტებზე, რომელსაც აფხაზეთში უკანონოდ შემოყვანილი რუსეთის იურისდიქციაში მყოფი საჯარისო ფორმირებანი და რუსი მოხალისეები სჩადიან ქართველი ხალხის, საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წინაშე.

ცხადია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასეთმა დაძაბვამ, სწორედ მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა კონსტრუქციული დიალოგი ორი ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი დიდი ხელშეკრულების დასადებად, აგრეთვე უკვე პირდაპირმა სამხედრო ესკალაციამ, რუსეთის ავიაციის თავხედურმა მოქმედებამ ქართული საჯარისო ფორმირებებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, საგონებელში ჩააგდო საქართველოს პარლამენტი, ხელისუფლება, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის ცხარე კამათი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოს პარლამენტში. საქართველოს პარლამენტის განცხადება, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და მთელი პრინციპულობითა და სისრულით ადასტურებს რუსული რეაქციული ძალების გამოუცხადებელ ომს სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ, დღეს არა მარტო ჩვენი, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ურთიერთობის ასეთი დაძაბვა, მუქარა და დაშინება, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის ჯარის ქვეგანაყოფებში ე. წ. საბრძოლო თავდაცვითი მდგომარეობის შემოღება, დიდ საფიქრალს უჩენს საქართველოს თითოეულ მცხოვრებს, მათ შორის ჩვენთან მცხოვრებ რუსი ეროვნების მოქალაქეებს, რომლებიც აღშფოთებას ვერ მალავენ რუსეთის რეაქციული ძალების მორიგი პროვოკაციული გამოხდომის გამო. სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა დღეს ჩვენს რედაქციაში საქართველოში ახლახან შექმნილი რუსული კულტურული საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტ — კოორდინატორის პროფესორ იგორ ბოგომოლოვის სტუმრობაც და ეს ჩვენი საუბარიც:

— ბატონო იგორ, ცხადია, დღეს ჩვენი საუბარი ძირითადად საქართველოს პარლამენტის გუშინდელ განცხადებასთან, მასში მოცემულ სამწუხარო რეალობასთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ვიდრე ამაზე გვეტყოდეთ რამეს, ნება მიბოძეთ, ერთ მეტად მნიშვნელოვან ასპექტს შევეხო:

მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი რამ მაკვირვებდა: — ეს არის რაღაც სასწაულებრივი განსხვავება ჩვენებური, ქართულ მიწაზე დაბადებული რუსისა და იქაური, ე. წ. „ნამდვილი“ რუსის აზროვნებას შორის. ჩვენ ერთმანეთს სტუდენტობიდან ვიცნობთ და მახსოვს არაერთხელ გვქონია ამაზე საუბარი. რაშია საქმე, რატომ არ გვავთ ჩვენებურ რუსებს ის რაღაც საოცარი ამბიციური თუ იმპერიული მღრღნელი ჭია, რომელსაც არაერთხელ გავუმწარებივართ ჩვენც და თქვენც მოსკოვსა თუ საერთოდ რუსეთში ყოფნისას. რატომ გველიმება ერთნაირად თქვენცა და ჩვენც, როცა საქართველოში მცხოვრები რუსი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად „ალმდგარ“ რუს გენერლებსა და პოლიტიკოსებს ვუსმენთ. და რატომ არ ცვლიან ეს ჩვენი „შევიწროებულ-დაჩაგრული“ რუსები თავიანთ „სალ კლდეებს“ რუსეთის სამოთხეზე?

— მოგახსენებთ. თქვენი არ იყოს, მეც რამდენჯერ დამიჭერია ჩემი თავი იმაზე, რომ ჩვენ ე. წ. „ქართველი“ რუსები სულ სხვანაირი ხალხი ვართ და ჩვენი თანამემამულეებისაგან განსხვავებით, მართლაც, სხვადასხვაგვარად ვაზროვნებთ, ეტყობა, მარტო ეროვნება, ოჯახი, სკოლა არ არის ამაში მთავარი. მთავარია, საერთო გარემო, ატმოსფერო, თანაცხოვრების წესი, რომელშიც ჩვენ ვიზრდებით და ვცხოვრობთ. ურთიერთნდობა, სიყვარული, კაცობის, ურთიერთობის და სიკეთის მადლი და კიდევ ბევრი სხვა რამ. ეტყობა, ეს ის თვისებებია, რომელსაც საქართველო აძლევს თითოეული ჩვენგანის სულს, ზნეობას.

ინტერვიუ ნომერში

ჩვენ რუსები ვართ. ცხადია, გვიყვარს ჩვენი ენა, კულტურა, ისტორია, მაგრამ ამავე დროს, საქართველო ჩვენი სახლი და სამშობლოა, სადაც იზრდებიან ჩვენი შვილები, შვილიშვილები, სადაც განისვენებენ ჩვენი წინაპრები. ამიტომაც, საქართველოს, ჩვენი საერთო სახლის ბედი, ჩვენი ბედია და ყველაფერი რაც, მიმართულია ამის წინააღმდეგ, ბუნებრივია, ჩვენს წინააღმდეგაც არის მიმართული. ეროვნული ურთიერთობანი და ის მენტალიტეტი, რომელიც ესოდენ უცხოა რუსეთის გარკვეული ფენებისათვის, ჩვენთვის ბუნებრივი, ყოველდღიური მოთხოვნილებაა. აკი ამიტომაც, ჩვენც, ისევე როგორც თქვენ, საოცრად გვეჩოთირება და გვაშფოთებს ის, რაც ახლა ასე ცხადად გამოიკვეთა რუსეთის გარკვეულ ფენებსა და საინფორმაციო საშუალებებში. რაღა შორს წავიდეთ, გადახედეთ სტატისტიკურ თუ სამხედრო ცნობებს, ქართველებთან ერთად, საქართველოს მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის, როგორ იბრძვიან და იღუპებიან რუსი ბიჭები, ჩვენი რიგითი მშვიდობიანი რუსი მოქალაქეები. ასევე იყო ისტორიულადაც, როცა 1832 წელს ქართველ შეთქმულთა შორის იყვნენ ჩვენთან მცხოვრები რუსები, ისინი ქართველებთან ერთად იბრძოდნენ იმპერიის, და ალბათ, ამიტაც იყო განპირობებული ის უნდობლობა, რომელსაც მეტროპოლია იჩენდა ე. წ. „ქართველი“ რუსების მიმართ. ეს გაგრძელდა საბჭოთა იმპერიის დროსაც, როდესაც, აქაურ რუსებს არ ანდობდნენ პასუხსაგებ პარტიულ პოსტებს. ასე რომ, ის იმპერიული აზროვნების ჭია, რომელზეც თქვენ ბრძანებთ, ისევე უცხოა ჩვენთვის, როგორც თითოეული ქართველისათვის. ამიტომაც, არის რომ ჩვენს პარლამენტში უკანასკნელ დღეებში მიმდინარე კამათს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზე ასე ერთსულოვნად გამოეხმაურა მთელი ჩვენი საზოგადოება, მათ შორის, რუსი ეროვნების მოქალაქენი.

— ბატონო იგორ, ახლა კი — თქვენი და თქვენი საზოგადოების დამოკიდებულებაზე საქართველოს პარლამენტის გუშინდელ განცხადებასთან დაკავშირებით, რას გვეტყოდით?

— ჩვენ ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს, ამ განცხადებას და გადაწყვეტილი გვაქვს ცალკე განცხადებაც გავაკეთოთ ამ ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხზე, რადგან ზნეობრივი, ცივილიზებული, ეროვნული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ატმოსფერო, რომელიც საქართველოში იყო და არის დამკვიდრებული საუკუნეების მანძილზე, ასეთმა უხეშმა ჩარევამ შეიძლება დაარღვიოს და საფრთხის წინაშე დააყენოს რუსი მოსახლეობა.

ამ განცხადებაში ნათლად ჩანს, ტენდენცია ჩვენთან მცხოვრები ერების ინტერესების ერთიანობისა და არა გათიშვისა. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია არ იგრძნობა რუსეთში, სადაც დესტრუქციული ძალები ცდილობენ და ზოგჯერ აღწევენ კიდეც, გავლენა მოახდინონ ხელისუფლების ოფიციალურ გადაწყვეტილებებზე. ამ შემთხვევაში, სწორედ ამაზე მიუთითებს ცნობილი 3 სექტემბრის ხელშეკრულება, რომელიც ვერ განხორციელდა სწორედ ასეთი ძალების მოქმედების შედეგად. დღეს, როცა საქართველოს შინაურ საქმეებში რუსეთის ჩარევამ მიიღო ასეთი უპრეცედენტო ხასიათი, მე, როგორც საქართველოში რუსული კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტ-კოორდინატორს დავალებული მაქვს, კატეგორიულად განვაცხადო:

— საქართველოში მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეები და მათი საზოგადოება უდიდეს აღშფოთებას გამოთქვამს ამ ფაქტთან დაკავშირებით და მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის განცხადებას. გამოვთქვამთ იმედს, რომ რუსეთში მოიძებნებიან საღად მოაზროვნე ძალები, რომლებიც გაიაზრებენ, დღეს ჩვენთან შექმნილ ვითარებას და მიიღებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ნამდვილად დამკვიდრდეს თანამედროვე დემოკრატიული, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პრინციპები.

ესაუბრა
გია ჭელიძე.

ნომერში

- რადგან სიდიადე მაინც სიდიადეა. 3
- ბიზნესმა წითელ შუქზე გაიარა. 4

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

თავდაცვის ფონდის მხარდასაჭერად

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა საქართველოს რეგიონული და ეროვნული ნიშნის მიხედვით გაერთიანებულ არაპოლიტიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს წინადადება და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან ჩამოაყალიბა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით შექმნილი თავდაცვის ფონდის აქტიური საქმიანობის მხარდამჭერი და ხელშემწყობი რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის **ავთანდილ მარგიანის** ხელმძღვანელობით.

რჩევა მიეცათ ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, განიხილონ და გადაწყვიტონ ადგილებზე შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შექმნის საკითხი, რომლებიც ფართო მუშაობას გასწევენ თავდაცვის ფონდში ფულადი სახსრების მაქსიმალურად მოზიდვის მიზნით.

* * *

მოსახლეობისაგან ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნებაყოფლობით ჩაბარება-შესყიდვის ღონისძიებათა ორგანიზებულად განხორციელებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებთან შეიქმნება საგანგებო შტაბები მათი თავმჯდომარეების ან მოადგილეების ხელმძღვანელობით, ადგილობრივი, სამართალდამცველი, თავდაცვის, საფინანსო ორგანოების, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

დაწესდა, რომ: საგანგებო შტაბები უზრუნველყოფენ იარაღის ჩამბარებელთა ვინაობის სრული ანონიმურობის დაცვას; იარაღის ჩაბარება-შესყიდვა გაფორმდება სათანადო აქტით, რომელსაც ხელს მოაწერს საგანგებო შტაბის ყველა წევრი; ჩაბარებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალებისათვის მოქალაქეებს ნაღდი ანგარიშსწორებით დაუყოვნებლივ მიეცემათ სათანადო ანაზღაურება თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების მიერ დადგენილი წესით საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს დაევალათ, უზრუნველყონ საგანგებო შტაბების განლაგების ადგილებში არსებული საბრძოლო იარაღის, მასალების, ფასეულობათა დაცვა და ტრანსპორტირება.

მოსახლეობისაგან ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ჩაბარება-შესყიდვის კამპანია იწყება 1992 წლის 21 დეკემბრიდან და გაგრძელდება 1993 წლის 20 იანვრამდე (შაბათ-კვირის ჩათვლით).

მისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **საქართველოს** რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა იოსელიანმა თავისი ჰონორარი 30 ათასი მანეთი გადარიცხა თავდაცვის ფონდში.

⊙ **საქართველოს** მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრებმა და წევრ-კორესპონდენტებმა თავიანთი ხელფასიდან თავდაცვის ფონდში ჩარიცხეს ნახევარი მილიონი მანეთი.

⊙ **დღითიდღე** იზრდება იმ თანხის რაოდენობა, რასაც საქართველოს თავდაცვის ფონდს პარლამენტის წევრები სწირავენ. 17 დეკემბრისათვის მათ მიერ ფონდში გადარიცხულმა თანხამ ნახევარ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

პარლამენტის წევრების მაგალითს პარლამენტის აპარატის თანამშრომლებმაც მიბაძეს. მაგალითად, მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზონდო პაპიძემ თავდაცვის ფონდში 5000, ხოლო ბიზნესის კომისიის მთავარმა სპეციალისტმა დავით კეკენაძემ — 10000 მანეთი გადარიცხეს.

⊙ **მამულიშვილური** გულუხვობა გამოიჩინა კომერციულმა ფირმამ „ვესტამ“, რომელმაც თავდაცვის ფონდში 10 მილიონი მანეთი შეიტანა.

⊙ **სრულიად** საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების გორის რეგიონულმა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე ზურაბ წკრიალაშვილი) საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა 100 ათასი მანეთი.

დანიშვნები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დანიშნა:

მიხეილ გვიშიანი — საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის თავმჯდომარედ;

არჩილ ლოლობერიძე — საქართველოს რესპუბლიკის მეურნეობის ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის დირექტორად;

რევაზ თევზაძე — საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს დეპარტამენტ „საქნავთობის“ თავმჯდომარე, **კიტა კიზირია** — ამავე სამინისტროს დეპარტამენტ „საქნახშირის“ თავმჯდომარედ, **კარლო ნიკოლაიშვილი** — ამავე სამინისტროს დეპარტამენტ „საქგაზის“ თავმჯდომარედ და **იური შედია** — ამავე სამინისტროს დეპარტამენტ „საქენერგოს“ თავმჯდომარედ;

ვიქტორ რცხილაძე — საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის კორპორაციის თავმჯდომარედ;

ომარ კაციტაძე — საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტად.

მშობელთა
საყურადღებოდ!

მხოლოდ ჩვენთან!
საახალწლო პროგრამა ბავშვებისათვის
„ზამთრის ზღაპარი“

სეანსები გაიმართება 3-13 იანვარს 11, 13, 15 საათებზე
ოფიცერთა სასახლეში
(ყოფილი პროფკავშირების სასახლე, მეტრო „დელისთან“).
ბილეთებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
9 აპრილის ქ. №3,
ტელეფონი: 99-90-79 11-დან 16 საათამდე.
ორგანიზაციებს შეუძლიათ ბილეთების შეძენა გადარიცხვით.

მშობლებო, თუ გსურთ საახალწლო
საჩუქარი უძღვნათ თქვენს პატარებს —
გვეწვიეთ!

ასოციაცია „ამაღლება“

პოზიცია

ცხვირი კოცნას არ უშლის

რომან მიმინოშვილი

ჩვენი თაობის პატარებს გაგონილი ჰქონდათ, რომ გამიჯნურებული ქალ-ვაჟი სიყვარულის გამოსახატავად რატომღაც არ კმაყოფილდებოდა ლოყაზე ამბორით და ბავშვებს ერთი კითხვა აწუხებდათ: „კი მაგრამ „ცხვირი?“ მე შენ გეტყვი და, საბჭოთა ფილმებში რაიმე მსგავსს ნახავდნენ; ჩვენ ხომ მაღალი კომუნისტური ზნეობის პირობებში ვიზრდებოდით! მით უფრო გვიცოდებოდა გრძელცხვირა ჭაბუკები და ქალიშვილები (მაშინ „წოპეც“ ბავშვი იყო და ცხვირის ოპერაციაზე არც უფიქრია). საწყლები, ვინ იცის, როგორ წვალობდნენ, როგორ იგრეხდნენ ხორთუმებს! ახლანდელ ბავშვს მსგავსი კითხვა არ დაებადება და წეროების იგავითაც ვერ მოატყუებ.

წინ მიდის ცხოვრება! საით მიდის, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ისე სწრაფად მიდის, აქლოშინებულები ძლივს ვასწრებთ ხალხით გაძეძგილ საფეხურებზე შეხტომას. ავარდება შემდეგ „ბიგელები“ და სახურავებზე ჩიტებივით დაფენილი ბიჭები თუ მათი გაჭიჭყილი დეიდები ერთმანეთს ანგარიშს ვუსწორებთ:

— გაიწი, ქალო, შუაში თავისუფლებაა!..

— თავზე ხომ ვერ გადავახტები?

— აბა, იყავი აქ და მე გადაგახტები!

ტროლეიბუსში შეუძლებელია გადახტომა, ამისთვის სხვა ასპარეზი არსებობს, რა თქმა უნდა, არა სპორტული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი ბავშვობის დროინდელ თამაშს — „დვა უდარას“. ახლა ამას არავინ თამაშობს. გადახტომები სხვაგან ხდება და მას ერთობ ეჭვიანური სახელი — კარიერა ჰქვია, ძალიან კი ჰგავს „დვაუდარას“. უნდა გამოიჭირ, შენთვის წაღუნჩულ და თავჩარგულ ამხანაგს ზურგზე ხელი დაჰკრა, ანუ საყრდენად გამოიყენო და გადაახტე. რამდენჯერ მოვსწრებივართ ამგვარ „დვაუდარას“, ზურგზე დაკრული ხელებიც ვერ გვიგრძნია, ჩვენს წინ დასკუპებული ისე გვინახავს კაცი, რომელიც მანამდე არც კი ჩანდა.

„დვაუდარა“ ისეთი უკვდავი თამაშია, კარიერისტული მარათონი ისე გაუთავებელია, რომ არც სათავე უჩანს, არც შესართავი. ყველა ეპოქაში, ყოველგვარი პოლიტიკური წყობილების ვითარებაში, ლხინისა თუ ჭირის დროს ჰქონდა და აქვს მას საფუძველი. იგი ეყრდნობა ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას — მისწრაფებას, მოიპოვოს თავისი ნიჭისა და გამოცდილებისათვის შესაფერისი ადგილი ცხოვრებაში, რათა მეტი სიკეთე მოუტანოს საკუთარ თავსაც და საზოგადოებასაც. მაგრამ რაკი არ არსებობს ნიჭისა თუ გამოცდილების გაზომვის კრიტერიუმები, იოლად მოინახება გზა ნახტომისათვის, ჩნდებიან ადამიანები, რომელთაც შეიძლება ზურგზე ხელი დაჰკრა და გადაევლო. ხშირ შემთხვევაში უებარი წამალია მლიქვნელობა, რომელიც რყვნის საზოგადოებას, მაგრამ უზრუნველყოფს კარიერას:

გაიმართა დოლი ლიქნის,
იმპერია დალმა მიჰქრის.
პირგაბადრულ ავგუსტუსებს
პირფერობა ატუტუცებს...

ბევრს მოსწრებია კაცობრიობა ასე გატუტუცებულ „უავგუსტოესობას“, აგერ ახლახან გვყავდა „მესსია“ და „წმინდა გიორგი“. უფრო ხშირ შემთხვევაში ასეთები იყვნენ პიროვნებანი, რომელთაც ქვეყნის სადავე ხელთ ჩაუვარდათ არა თავიანთი ნიჭის, არამედ გარემოებათა სხვათა და სხვათა გამო. მათი მეშვეობით „დვაუდარას“ თამაში ისეთ მახინჯ ფორმებს ღებულობს, რომ სულაც არ უნდა გვიკვირდეს უზარმაზარი ქვეყნის ოლიმპოზე კაგანოვიჩისნაირი მეწაღის, ორჯონიკიძისნაირი ფერშლის ან ბუდიონისნაირი ფელდფებელის ყოფნა. არც მიქოიანისნაირი სასწაულად გადარჩენილი ოცდამეშვიდე ბაქოელი კომისრის უნარი უნდა გაგვიკვირდეს, ლენინელიც რომ იყო, სტალინელიც და ხრუშჩოველიც, რადგან ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის და სახელმწიფო მოღვაწის მიქაელ პსელოსის რეკორდამდე იმანაც ვერ მიაღწია: პსელოსმა ცხრა კეისარი გამოიცვალა, ცხრავეს თავის ერთგულ კაცად მიაჩნდა, მაგრამ უკლებლივ ყველას ღალატობდა. ასეთი რეკორდსმენებისგან ჩვენ ღმერთმა დაგვიფარა, მაგრამ ბევრ ჩვენს თანამემამულეს შეუძლია იამაყოს მნიშვნელოვანი „სპორტული“ წარმატებებით.

ასეთ ფონზე, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება საქართველოს ახლანდელ პარლამენტზე დაკვირვება. რაც უნდა იყოს, ცხადია, რომ პარლამენტში თავი მოიყარა მრავალმა სხვადასხვა ნიჭის, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების, გამოცდილების, ენერგიის მქონე საზოგადოებრივად აქტიურმა პიროვნებამ. ბუნებრივია, განსხვავებულია გზები, რომელმაც ისინი პარლამენტში მოიყვანა და ის გზებიც, რომელთაც დაადგებიან მომავალ არჩევნებამდე. პარლამენტი ახლა იწყებს მუშაობას, ჯერ მხოლოდ საკუთარი სტრუქტურები ჩამოაყალიბა და ახალ მინისტრთა კაბინეტს ჩაუყარა საფუძველი. ჯერ მკვეთრად არ არის გამოკვეთილი, როგორი ფრაქციები ჩამოყალიბდება, ვინ გამონახავს საერთო ენას, რა ელით საარჩევნო ბლოკებს?

დღევანდელ პარლამენტში არიან საბჭოთა რესპუბლიკის ყოფილი დეპუტატებიც, გამსახურდიასდროინდელი უზენაესი საბჭოს წევრებიც, სახელმწიფო საბჭოს წევრებიც, ეროვნული კონგრესის წევრებიც და ისეთებიც, რომელნიც არც ერთ საკანონმდებლო სტრუქტურაში არ ყოფილან. გარდა ამისა პარლამენტში მოხვდნენ პარტიული სიებით პროპორციულად არჩეული პიროვნებანი, მათ შორის უპარტიონიც და მაჟორიტარული წესით დამოუკიდებლად არჩეულნიც. მთავარი კი ის არის, რომ ყოველი მათგანი დამოუკიდებელი პიროვნებაა, თავისი ცხოვრების წესი, გამოცდილება, ჩვევები, ტემპერამენტი ახასიათებს. ამიტომ შეუძლებელია პროგნოზირება, თუ რომელი ორატორი რას იტყვის ტელეეკრანის წინაშე, დახურული სხდომის დროს ან კულუარებში, რას მისცემს ხმას და რას არა. ჩემთვის, მაგალითად, სრულიად მოულოდნელი იყო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ალექსანდრე ჩიკვაიძემ 18 უარყოფითი ხმა მიიღო. ხომ აშკარაა, რომ დღეს მას არავითარი ალტერნატივა არ ჰყავდა და იმ მცირე დროში, რაც ამ პოსტზე მუშაობს, ახლად არჩეულ პარლამენტში 18 მტერს ვერ დააგროვებდა? მოდი და, ამის შემდეგ ილაპარაკე რაიმე პროგნოზზე!

საერთოდ, ეტყობა, ფარულ კენჭისყრას თავისი ფსიქოლოგია, თავისი საიდუმლო აქვს. ამიტომ არ მიკვირს ჩემი პატარა შვილიშვილის ლაშას კითხვა: საპარლამენტო ტელესეანსის დროს პაექრობით გართულ ბებიას რომ დაუსვა.

— ბებო, რა არის კენჭი?

— კენჭი პატარა ქვაა, არ იცი?

— მაშინ კენჭისყრა რა არის?

ბავშვი ხედავს, რომ დარბაზში არავინ ჰყრის კენჭს! ბებია ცდილობს აუხსნას, თუ როგორ ირჩევენ ვიღაც ბიძიას. ლაშამ ვერაფერი გაიგო და თვითონვე დაამშვიდა ბებია:

— ბებო, რომ გავიზრდები, მაშინ ამიხსენი, რა არის კენჭისყრა, კარგი?

ვერ აუხსნის! მე საკმაოდ გაზრდილი ვარ, მაგრამ მაინც ვერავინ ამიხსნის, რატომ ხდება ამდენი გაუგებრობა კენჭისყრის დროს.

ნურავინ იტრაბახებს თავისი 87 პროცენტითაც, თუკი ნახევარ წელიწადსაც ვერ შეძლებს მის შენარჩუნებას.

პარლამენტის ყოველი წევრი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოვიდა წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით, თავისი შეცდომებით თუ ბოლომდე განუხორციელებელი მიზნებით. მართებულად და ზუსტად აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ — დღევანდელ დღემდე ყველანი ჩვენი ტვირთით მოვედითო. სხვადასხვაგვარია ეს ტვირთი, ზოგისთვის მძიმე ჯვარია, ზოგისთვის გაცილებით მსუბუქი ფუთა. ზოგი იქნებ არც ყოფილა როდისმე დატვირთული? ბატონ შალვა ნუცუბიძეს უსაყვედურეს თავის დროზე: თქვენ ძალიან გვიან გადმოხვედით ჩვენს პლატფორმაზეო. გამოჩენილ ფილოსოფოსს ეროვნული პოზიცია არასდროს შეუცვლია, მაგრამ კომუნისტურ პლატფორმაზე უარის თქმა, მოგეხსენებათ, სიკვდილის ტოლფასი იყო. ამიტომ მან მოსწრებულად უპასუხა: მე დიდი სულიერი ტვირთი დამიგროვდა, პლატფორმიდან პლატფორმაზე კი თქვენისთანები ადვილად ხტებიან, რადგან ტვირთისგან თავისუფლები არიანო.

სწორედ ამიტომ ჩემში უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრების შეტაკებამ პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე. ეტყობა, უზენაესი საბჭოს დაშლამდე მათ ვერ მოასწრეს ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევა... ვერ დავეთანხმები მათს მოსაზრებას, რომ აწ დამხობილი რეჟიმის შექმნაში ყველას მიგვიძღვის წვლილი. ისინი ერთმანეთს უმტკიცებდნენ, ვინ უფრო ადრე გაემიჯნა გამსახურდიას და ვინ უფრო ვაჟკაცურად იქცეოდა. ვაჟკაცობას, ალბათ, არავის დავუკარგავთ, მაგრამ მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი და მისი წევრები არასდროს მდგარან გამსახურდიას გვერდით, არც მის ხელისუფლებაში მოსვლამდე და არც შემდეგ. ვაჟკაცობით იქნებ სხვებმა გვაჯობონ, მაგრამ ჭკუით კი ვერა! კავშირის ხელმძღვანელობა წინასწარ აფრთხილებდა საზოგადოებას, თუ რა მოელოდა ჩვენს ქვეყანას. მკითხველს შევახსენებ ვალერიან ადვაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვათა გამოსვლებს საპრეზიდენტო არჩევნების დროს ოდნავ გახსნილი საჯაროობის პირობებში, ოთხი სატელევიზიო გამოსვლის უკანონო აკრძალვას ხელისუფლების მიერ, კავშირის შტაბ-ბინის დარბევას, მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევას — პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ შიმშილობის გამოცხადებას და ბოლოს ჩემს წერილს „ქართულ ფილმში“, რომელშიც არაორაზროვნად იყო ნათქვამი მომავალი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, შემდეგ პრეზიდენტის, „მესიის“, „მოსეს“, „წმინდა გიორგის“ მანიაკურ ამბიციებზე, რომ, თითქოს, საქართველო უიმისოდ დაიღუპებოდა! ასე რომ, თუ ვინმეს სურს გაინაწილოს პასუხისმგებლობა აწ დამხობილი რეჟიმის შექმნის საქმეში, ვთხოვთ, ამ ცოდვაში ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს ნუ გარევს!

ზემოთ აღვნიშნე, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებათა პროგნოზირება შეუძლებელია. ვაღიარებ, გადავაჭარბე! ღმერთმა დაგვიფაროს, მთლად ასე იყოს საქმე. მეტის თქმაც შეიძლება. წინასწარ ვიცით, თუ როგორ მოიქცევა ესა თუ ის ორატორი. ერთი, მაგალითად, მიკროფონთან ახლოს მოდის და ისე გრგვინავს, ლამის ჭერი ჩამოგვექცეს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სიცელქისათვის გვტუქსავს! მეორე ლამის პარლამენტის დიასახლისია. შეიძლება, კარგიც არის პარლამენტში ასეთი ოჯახური ატმოსფეროს შექმნა? არ ვიცი!

მესამე და მეოთხე, რაგინდ საკითხზედაც ვმსჯელობდეთ, ისე შეაბრუნებენ სათქმელს, რომ ამორჩეულ თანამდებობის პირს მიადგებიან და შეგვახსენებენ, ეს კაცი ცუდად იქცევაო, კარგ საქმესაც რომ აკეთებს, გულში ავი ზრახვა უდევს და იმიტომ ირჯება კარგადო. მეხუთეს, მეექვსეს, მეშვიდეს, მეცხრეს და მეათეს სათქმელი არაფერი აქვთ, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ, რომ ამომრჩევლებმა იცოდნენ, როგორ ზრუნავენ მათზე, ხოლო მერვეს გამოსვლას ყოველთვის გამოეხმაურება ხოლმე მეთერთმეტე და აუცილებლად საწინააღმდეგოს იტყვის. მეთორმეტე და მეცამეტე დიდაშვილურად და მამაშვილურად ჭკუას ასწავლიან მამისტოლა პარლამენტარებს.

და მაინც, არა მგონია, მეჩვენებოდეს: პარლამენტი ნელ-ნელა იკრებს ძალას, ნელ-ნელა თავისუფლდება ფუჭსიტყვაობისაგან, რომელსაც ძალიან მეცნიერულად რომ ვთქვათ, პოპულიზმი ჰქვია და იგი აღარ დაემსგავსება არც სტატიკურ და უსიტყვოდ მორჩილ საბჭოთა უმაღლეს საბჭოს და არც ისე შორეულ, რაღაც ერთი წლის წინ მიცვალებულ, კარვებით გარშემორტყმულ უზენაეს საბჭოს. ნელ-ნელა გახდება ევროპული ტიპის პარლამენტი, რომელსაც აზრთა ჭიდილის შემდეგ ხალხისათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას ცხვირი ვერ შეუშლის.

რესპუბლიკის კონტროლის პალატაში

ტრანსპორტი: დოტაციაც და ზარალიც

დღეს შინიდან მიწისზედა ტრანსპორტის იმედით აღარავინ გამოდის, რადგან რეგულარულად მომუშავე ტროლეიბუსი თუ ავტობუსი კარგა ხანია არავის უნახავს, ფეხით სიარულს შევეჩვიეთ. ძნელად, მაგრამ მაინც.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა იმსჯელა რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მუშაობის იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ამ სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს უშლის.

გაირკვა, რომ „საქავტოტრანსის“ მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში შემავალმა ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებმა და ავტოსაწარმოებმა 1991 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა ზარალით დაამთავრეს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი დოტაციის სახით მიიღეს 31 მილიონ 369 ათასი მანეთი. მათ შორისაა თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება, რომელმაც 17 მილიონ 365 ათასი დოტირებული მანეთიდან საფინანსო გეგმით გათვალისწინებული 973 ათასი მანეთის ნაცვლად ერთი მილიონ 500 ათასი მანეთი მოახმარა „საქავტოტრანსის“ აპარატის შენახვის ხარჯებს, ზედმეტად გადარიცხული 527 ათასი მანეთი კი რესპუბლიკის ბიუჯეტს უნდა დაუბრუნოს.

შარშან თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მიერ ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის დარიცხული ამორტიზაციის ანარიცხების 11 მილიონ 653 ათასი მანეთიდან ბიუჯეტს ეკუთვნოდა 2 მილიონ 330 ათასი მანეთი. საერთოდ კი თბილისის გაერთიანებიდან ბიუჯეტში ჩარიცხვას დაექვემდებარა 2 მილიონ 518,6 ათასი მანეთი.

მიღებული დოტაციის ნაწილი— 14 მილიონი მანეთი გადაანაწილეს „საქავტოტრანსის“ მთავარ სამმართველოში შემავალ 44 ორგანიზაციაზე, რითაც გადაფარეს ზარალი, რაც ავტოსაწარმოებმა ყველა შემთხვევაში არ დაადასტურეს აუცილებელი დოკუმენტებით. ხშირად ისინი საბრუნავი სახსრების, კაპიტალური მშენებლობის ან მიმდინარე შეკეთებისთვისაც ითხოვდნენ თანხებს, მაშინ როდესაც სამეურნეო წელი მოგებით აქვთ დამთავრებული. ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ძირითადად დოტაციის თანხებია გამოყენებული.

ასეთი დარღვევებია ჭიათურის საქალაქო, სამტრედიისა და ხაშურის რაიონების ავტოსატრანსპორტო საწარმოებშიც. ამის გამო მათ ბიუჯეტს უნდა დაუბრუნონ 809 ათასი მანეთი. სადავოა ტრანსპორტის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოსთვის ჩარიცხული 3,8 მილიონი მანეთის ხარჯვის კანონიერება, რადგან იგი ძირითადად არამიზნობრივად მოხმარდა სისტემის 20 ორგანიზაციის დებიტორული დავალიანების დაფარვას.

ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის განყოფილებამ კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე წარადგინა დედაქალაქში მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტზე შექმნილი მდგომარეობის ანალიზი.

რთულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ, ორმხრივი კავშირების მოშლამ გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დააყენა ქალაქის ტრანსპორტის გაერთიანების ხელმძღვანელობა. გაერთიანებას დღემდე არ მიუღია კუთვნილი 351 მილიონი მანეთი დოტაცია, რის გამოც იგი გადახდისუუნაროა, კრედიტორულმა დავალიანებამ კი 240 მილიონ მანეთს მიაღწია. ამ მიზეზით გაერთიანებას უჭირს საწვავ-საცხებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა, ხელფასების გაცემა და სხვა. მდგომარეობას ართულებს ბანკებში დანერგილი პრაქტიკა, როდესაც ვალების ჩამოსაწერად დიდპროცენტიანი კრედიტის გახსნას მიმართავენ.

კურიოზულია, რომ მიწისზედა ტრანსპორტის ყოველდღიური შემოსავალი 150 ათას მანეთს არ აღემატება, იმ დროს, როდესაც საექსპლოატაციო დანახარჯები საშუალოდ 1,2-1,3 მილიონ მანეთს სჭარბობს.

საგანგაშოა დედაქალაქის ტრანსპორტის დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობა. მაშინ, როდესაც პარკი მთლიანად „შკოდას“ ტიპის ტროლეიბუსებით და „იკარუსის“ მარკის ავტობუსებით არის დაკომპლექტებული, მათი შევსება და სათადარიგო ნაწილებით მომარაგება ვალუტის უქონლობის გამო შეუძლებელი გახდა. სამ წელიწადზე მეტია არ ტარდება თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის კომპლექსური განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას აფერხებს ყაჩაღური თავდასხმები ავტოსაწარმოებზე, მძღოლებზე, ამ ობიექტური მიზეზების გარდა არის სუბიექტური მიზეზებიც, თბილისის ტრანსპორტის გაერთიანების ხელმძღვანელობას მუშაობაში აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები და დარღვევები.

დღეს, როდესაც დედაქალაქის ტრანსპორტზე შექმნილია ექსტრემალური ვითარება, მაღალ დონეზე უნდა იყოს ავტოსაწარმოთა ხელმძღვანელობისა და პირადი შემადგენლობის საშემსრულებლო დისციპლინა, რეალობა კი საპირისპიროს ადასტურებს, არ ჩანს ქალაქში სახაზო კონტროლი. ამიტომ; იმ პირობებშიც კი, როდესაც არსებობს ნორმალური მუშაობის რეალური პირობები, ირღვევა მოძრაობის განრიგი, ერთი მარშრუტის ტროლეიბუსები მოძრაობენ ერთმანეთის მიყოლებით, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, განსაკუთრებით დიღმის, ნუცუბიძის პლატოს მეოთხე-მეხუთე მიკრორაიონების და, საერთოდ, იმ დასახლებებში, სადაც მეტრო, ტროლეიბუსისა და ტრამვაის ხაზები არ ფუნქციონირებს.

სატრანსპორტო მომსახურებას ისიც ართულებს, რომ დაიშალა ადრე არსებული ძლიერი ტაქსის პარკები.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა, რომ გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები განპირობებულია საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაციების სუსტი მუშაობით, საკონტროლო-საფინანსო საქმიანობის შესუსტებით, საშემსრულებლო დისციპლინის საგრძნობი დაცემით.

ამიტომ პრეზიდიუმმა ტრანსპორტის სამინისტროს და თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობას მოსთხოვა, რომ უმოკლეს დროში, შიდა რეზერვების მაქსიმალურად ამოქმედებით უზრუნველყონ ყველა სახეობის მიწისზედა ტრანსპორტის გამართული მუშაობა, ამასთან, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა შემჭიდროებულ ვადებში აითვისონ, ტრანსპორტის სამინისტროს მიერ შეთავაზებული ნომენკლატურის შესაბამისად, რესპუბლიკის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობისათვის დეფიციტური სათადარიგო ნაწილების და კვანძების გადაუდებელი დამზადება.

კონტროლის პალატის პრესცენტრი.

განგაშის ზარი!

ხალხი შიმშილობს, კარტოფილი თოვლქვეშ ფუჭდება!

დაღუპვის საფრთხე ემუქრება 1500 ტონა კარტოფილს ახალქალაქის რაიონში. როგორც საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა რაიონის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ ბორის ზედგენიძემ, ნაადრევმა ავდრებმა, ბენზინის, სხვა საწვავ-საპოხი მასალების უქონლობამ არ მისცა საშუალება დროულად აეღოთ მოსავალი, დიდი დაგვიანებით განხორციელდა საშემოდგომო თესვა, თანაც, ეს მთელ ფართობზე ვერ მოხერხდა. ამის შედეგად, კარტოფილის ერთი ნაწილი დარჩა მიწაში, თოვლქვეშ, მეორე ნაწილი კი ვერ გაიტანეს მეურნეობებიდან. იმ შემთხვევაშიც კი თუ ახალქალაქელები შეძლებენ კარტოფილის აღებას, მისი დაბინავების შესაძლებლობაც არ არის ადგილობრივ პირობებში: არსებული საწყობები გათვალისწინებულია მხოლოდ სათესლე მასალის შესანახავად. ლილოს ბაზამ, დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან ბოსტნეულისა და კარტოფილის ზამთრის მარაგის გადიდებით, უნდა დააჩქარონ მოსავლის გატანის საკითხის გადაწყვეტა.

ყოველივე ამას, აღნიშნა ბორის ზედგენიძემ, დაემატა ელექტროენერგიის უქონლობაც: არ არის დაცული მისი ნორმირებული მოწოდებაც კი. ეს უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს მეცხოველეობის ფერმების, სხვა სამსახურების მუშაობაზე.

რ. ახმეტელი.

უსუსურობა თუ...

იმპერიის რღვევას ფედერაციის დაშლაც ხომ არ მოჰყვება?

დავით ბიწაძე

გროზნოში გამომავალი გაზეთის „საქართველოს ცის ქვეშ“ ძირგამომთხრელი საქმიანობა კარგად არის ცნობილი. მის ფურცლებზე ინთხევა შხამი და გესლი მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი, გაისმის საქართველოს ხელისუფლების დამხობის, რესპუბლიკაში მასობრივ არეულობათა გამოწვევის, ეროვნებათშორისი შუღლისა და სიძულვილის გაღვივების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოშლის, სამოქალაქო ომის გაჩაღების პროვოკაციული მოწოდებები.

დღემდე გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე გამოდის უცხო ქვეყანაში ამგვარი „გაზეთი“, სად, ვინ გაატარა იგი რეგისტრაციაში, რამდენად შეესაბამება მისი გამოცემა პრესისადმი წაყენებული კანონის მოთხოვნებს და ა. შ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ სწორედ ეს კითხვები დაუსვა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს ვ. გ. სტეპანკოვს (რადგან ჩეჩნეთი და მისი დედაქალაქი ამ რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია). ამის თაობაზე მიმდინარე წლის სექტემბერში ოფიციალურად მიმართა მას და იმედი გამოთქვა, რომ დაუსჯელი არ დარჩებოდა გაზეთის პროვოკაციული საქმიანობა, ხოლო იმ პირთ, რომელთაც მთავარი ბრალი ედებათ მის გამოცემაში, საკადრისს მიუზღავდნენ მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით.

სამ თვეზე მეტი დასჭირდა პასუხს, დიახ, მხოლოდ პასუხს, და არა საქმეს. ამ პასუხზეც ხელისმოწერა, რატომღაც სტეპანკოვს არ უკადრია და თავისი ერთ-ერთი მოხელის, პროკურატურის ფედერალური უსაფრთხოებისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კანონთა შესრულებისადმი ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის, მესამე კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლისთვის ლ. მ. სიუკასევისთვის გადაულოცავს. თუ რა უბადრუკია ეს ერთ ფურცელზე ცოტა მეტი ფარატინა ქაღალდი, ამას მისი სიტყვა-სიტყვით თარგმანიც ნათელყოფს.

„პატივცემულო ბატონო მთავარო სამხედრო პროკურორო! მივიღეთ თქვენი მიმართვა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის ვ. გ. სტეპანკოვისადმი, რომლითაც მოითხოვთ ზომების მიღებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც გამოსცემენ გაზეთს „საქართველოს ცის ქვეშ“, რომელიც ავრცელებს მოწოდებებს ეროვნებათაშორისი მტრობისა და შუღლის გასაღვივებლად. თქვენი მიმართვა განხილულია.

1991 წლის ოქტომბერში ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის პროკურატურა შეიარაღებული გზით ხელში ჩაიგდეს გენერალ დუდაევის მომხრეებმა, რის გამოც პროკურატურის აპარატი გადაყვანილია ქალაქ ნაზრანში, აქ ჩამოყალიბდა ინგუშეთის რესპუბლიკის პროკურატურა, რომელიც ცნობს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და კანონებს.

დუდაევის მიერ კონსტიტუციის დარღვევით შექმნილი ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურა და მისი უკანონოდ დანიშნული ხელმძღვანელები არ შედიან რუსეთის პროკურატურის ერთიან სისტემაში.

ზემოთ აღნიშნულის გამო რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურას არა აქვს შესაძლებლობა ახორციელებდეს ზედამხედველობას ჩეჩნეთის ტერიტორიაზე.

ამჟამად რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს მოლაპარაკება აქვს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შექმნილი ვითარების პოლიტიკური საშუალებებით მოგვარების თაობაზე“.

თქვენი მიმართვა განხილულიაო. პირდაპირ საოცარია. რა საჭიროა ისეთი განხილვა, თუ საკითხის ირგვლივ ენა არ შეგიძლია დაასველო და ვერც ვერაფერს გახდე იმის გამო, რომ ვერ ახორციელებ ზედამხედველობას იმ ტერიტორიაზე, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მაგრამ როგორც სიუკასევის წერილიდან ჩანს, საბჭოთა კავშირის ბედი რუსეთის ფედერაციასაც ელის: ისიც ხომ არ დანაწილდება იმდენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რამდენიც მის შემადგენლობაში არსებული ყოფილი ავტონომიური, ახლანდელი სუვერენული რესპუბლიკაა?

აქვე დავძენთ, რომ დაახლოებით იგივე შინაარსის წერილი ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობასაც გაეგზავნა, მაგრამ კოლეგების მოთხოვნებს ყური არ ათხოვეს, არაფერი უპასუხეს.

გაზეთი „საქართველოს ცის ქვეშ“ კი განაგრძობს თავის შავბნელ საქმიანობას. ბევრმა მანამდე მოტყუებულმა მკითხველმა მას ზურგი შეაქცია და სათოფეზე არ ეკარება, მაგრამ არიან უბირნიც და გულღრძონიც, რომელთაც არ სურთ სიბნელიდან გამოსვლა.

ეს ჩვენი ისტორიაა

ეროვნული გმირი — უცნაურ ამპლუაში

ლოვარდ ტუხაშვილი

რუსეთის საინფორმაციო სამსახურების ცნობით, გუდაუთაში მოკალათებულმა თანამედროვე აფსუა სეპარატისტების ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ გამოაცხადა აფხაზეთის უმაღლესი ჯილდოს „ლეონის ორდენის“ დაწესება. ამ ორდენით დაჯილდოებას ფიქრობენ, თურმე, ქართული სახელმწიფოებრივი სხეულის დაშლის ინიციატორებს და გადამთიელ მარბიელებს, რომელთაც ესოდენ ურცხვად დაღვარეს ქართველთა სისხლი.

მკითხველს კიდევ ერთხელ გავახსენებთ საქართველოს ეროვნული გმირის ლეონ II „აფხაზის“ რაინდულ ისტორიას.

მე-7-8 საუკუნეებში ცნებამ „საქართველო“ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, სა-ქართველ-ო ნიშნავდა ქართველთა ქვეყანას, „ქართველი“ კი გამოხატავდა ეთნიკურად, რელიგიურად, კულტურულად ერთიანი ხალხის წარმომადგენელს. ქართველად ითვლებოდა წარმოშობით ქართველიც და ისიც, ვინც კულტურულ-კონფესიურად (ე. ი. სარწმუნოებით) ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ატარებდა. ამ პერიოდის უნიკალური თავისებურება ის იყო, რომ ქვეყნის გამაერთიანებლად გამოდიოდა არა ცენტრი, არამედ პროვინცია. დედაქალაქი ხანგრძლივად ეპყრათ ხელთ უცხოელ დამპყრობლებს— არაბებს. ეროვნული სული, არაბთაგან ესოდენ შევიწროებული, განაპირა მხარეების ვიწრო ხეობებში იწყებდა აღორძინებას.

სწორედ ეროვნული სულის ცენტრისკენ სწრაფვამ შვა ქართული სამეფო-სამთავროები: „აფხაზთა სამთავრო“, წინარეთ-კახეთი, ქართველთა სამეფო ანუ ტაო-კლარჯეთი, ლორე-ტაშირი, ჰერეთი. ყველა ეს სამეფო-სამთავრო იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისთვის. მათ შორის ერთიანი საქართველოს ყველაზე აქტიური მაშენებელი იყო „აფხაზთა სამთავრო“. ეს პოლიტიკური ერთეული გადაჭიმული იყო თანამედროვე გუდაუთიდან ნიკოფსიამდე. აქ პარალელურად ცხოვრობდნენ ძველი აფხაზური (აბაზგები, აფსილები) და წმინდა ქართული ტომები. მაშინდელი აფხაზური ტომები მთლიანად იყვნენ შემოყვანილი ქართულ კულტურულ არეალში. ეკლესია იყო ქართულენოვანი, დამწერლობა, არქიტექტურა იყო ასევე მხოლოდ და მხოლოდ ქართული. აფხაზეთს განაგებდა ძლიერი საგვარეულო, რომელიც ტრადიციით დასაბამს იღებს ანოსიდან. ისტორიოგრაფიაში ანოსიდების ან როგორც შემდეგში უწოდებენ ლეონიდების (ლეონ I-ისა და ლეონ II-ის გავლენით) წარმოშობის პრობლემა საბოლოოდ გარკვეული არ არის. ზოგი მათ აბაზგებად მიიჩნევს (პროფ. ზ. ანჩაბაძე, შ. ინალიფა), ზოგი ქართველად (პ. ინგოროყვა), ზოგი ბერძნად (ექვთ. თაყაიშვილი).

ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ საკითხის გარკვევას. „ანოსიდი“ მთავრების ყველაზე ძლიერი წარმომადგენლების, ლეონ I-ისა და ლეონ II-ის ეროვნული ცნობიერება იყო ქართული, განსაკუთრებით ეს ეხება ლეონ II-ს, რომელიც თავს თვლიდა ლეგენდარული ქართველი მეფის არჩილის მემკვიდრედ

ლეონ II ებრძოდა არაბებსაც და ბიზანტიელებსაც. მან ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და დაახლოებით 686 წელს მოიხმო ჩრდილოკავკასიური იმპერიის, ხაზართა სახაკანოს ძალები, განდევნა ბიზანტიელები და გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო.

ლეონ II-ის დედა ხაზართა ხაკანის ანუ იმპერატორის ასული იყო. აი, ეს ჩრდილოური ძალები გამოიყენა მან საქართველოს ერთიანობისათვის. ბედის დაცინვაა, რომ დღეს ვინმე ვლადისლავ არძინბა, იყენებს რა ჩრდილო კავკასიის ძალებს საქართველოს და უწინარესად აფხაზეთის დასაქცევად, თავს აცხადებს დიდი ლეონის ჩამომავლად. ეს იმას ნიშნავს, რომ სატანამ თავი ქრისტეს მემკვიდრედ მოგვაჩვენოს, ხოლო ბიზანტიის მნგრეველმა მუჰამედ II-მ — იუსტინიანეს საქმის გამგრძელებლად.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ ლეონ II-მ დედაქალაქად ქუთაისი გამოაცხადა. „აფხაზთა სამთავრო“ გადაიქცა „აფხაზთა სამეფოდ“. მასში შევიდა: ძველი აფხაზეთი (ე. ი. ტერიტორიები გუდაუთის ჩრდილოეთით, სოხუმი ანუ ცხუმი მაშინ აფხაზეთში არ შედიოდა), ოდიში, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-აჭარა, სვანეთი, აგრეთვე ის მიწები, რომელსაც მოგვიანებით იმერეთი ეწოდა. სახელწოდება „აფხაზთა სამეფო“ გაჩნდა მმართველი დინასტიის მიხედვით ვიმეორებთ, ამ დინასტიას პირობითად მოვიხსენიებთ ხან ანოსიდებად, ხან ლეონიდებად. ტრადიციულად კი ზოგჯერ მათაც ბაგრატიონებად თვლიდნენ. „აფხაზთა სამეფო“ ტიპიური ქართული ფეოდალური მონარქია იყო, ლეონ II— ჭეშმარიტი ქართველი. თუნდაც პირობითად დავუშვათ, რომ ის წარმოშობით აბაზგი ან ბერძნული ჩამომავლობის იყო, ეს არაფერს არ ცვლის. თითქმის არც ერთი რუსი მეფე არ ყოფილა წარმოშობით რუსი, იგივე ითქმის ბიზანტიის იმპერატორებზეც. მთავარი იყო ის, რომ ლეონ II-მ განდევნა ბერძნები. ბიჭვინთის სამიტროპოლიტოში აღკვეთა ბერძნული ენა, სამეფო კარი შთაწყო ქართულად. აბა, დამისახელოს თუნდაც ერთი აფხაზური დოკუმენტი ვ. არძინბამ, თუნდაც ერთი ასო აფხაზური დამწერლობისა (ცხადია, ტურჩანინოვის ნაბოდვარი მხედველობაში არ მიიღება). ვ. არძინბა ისტორიკოსია. ვფიქრობ, ასე თუ ისე იცნობს აფხაზური ქრისტიანული კულტურის ძეგლებს. ნუთუ არასოდეს დაფიქრებულა, საიდან გაჩნდა აქ ქართული წარწერები?

ლეონ II უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეა. მისი დიპლომატია ემყარებოდა ბიზანტია-ხაზარეთის წინააღმდეგობიდან გამომდინარე წონასწორობას. ეს მეთოდი უცხო არ იყო ძველი ლაზიკა-ეგრისის მეფეებისთვის, რომლებიც მტრებს მტრების ხელითვე ამარცხებდნენ. განსხვავება ის იყო, რომ „აფხაზთა მეფე“ გაცილებით ძლიერი იყო. მან მოახერხა ერთ მუშტად შეეკრა ჩრდილოეთ კავკასიის მოუსვენარი ტომების დაუხარჯავი ენერგია და შეენივთებინა ქართული შინაარსის იდეოლოგიასთან. „ხაზარული პოლიტიკა“ დროებითი მანევრი აღმოჩნდა. ჩრდილოეთის დიდი იმპერია ფაქტობრივად გამოყენებულ იქნა ქართველთა ხსნის მარჯვე მეთოდად. ლეონ II-ის აფხაზურ-ქართული სიმბიოზი ბუნებრივად გადაიქცა სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-კულტურულ უნიფიცირებულ ორგანიზმად, რომელიც შემდეგში „ყოველი საქართველოს“ წამყვან ბირთვად იქცა.

ლეონ II-მ ჩადო ყველაზე დიდი ქვა ქართველთა სახელმწიფოებრივი ზეობის ბალავარში. ლეონ II „აფხაზთა სამთავროს“ უძლიერესი მმართველია. იგი ამავე დროს ამ სამთავროს „ჰაე“-ცაა (ე. ი. დასასრული). მან გამოიხურა პატარა, შედარებით ერთსახოვანი აფხაზეთის კარი. სამაგიეროდ გახსნა ახალი თვისებრიობის ქართული სახელმწიფოს „აფხაზთა სამეფოს“ ფართო ჭიშკარი. იგი ეგრის-აფხაზეთის „ანი“-ა (ე. ი. დასაწყისი).

რა მოუვიდა საკუთრივ აფხაზეთს VIII-IX საუკუნეების შესაყარზე? იგი „აფხაზთა სამეფოს“ ნაწილი დარჩა და გარდაიქმნა „აფხაზი მეფეების“ საუფლისწულოდ, სადაც თანდათანობით დაწინაურდა შერვაშიძე—ჭაჭას ძე ჩაჩბათა საგვარეულო.

რა მოუვიდათ ლეონ II-ის პირველ აფხაზ მოლაშქრეებს? მათ შეინარჩუნეს პრეროგატივები, არ დაუკარგავთ ეროვნული „ეგო“, ეროვნული „მე“. ოღონდ კლასიკურ პერიოდში „მე“, როგორც წესი, მაღლდებოდა „ჩვენად“. აფხაზი არისტოკრატიის „ჩვენი“ იყო ზოგადქართველობა.

კლასიკურ პერიოდში თითქმის არ ჩანს ტრაიბალიზმი, ე. ი. ტომობრივი შუღლი. აფხაზური წარმოშობის ფეოდალები (ისევე, როგორც „სვანური“, „ეგრისული“ და ა. შ.) აქტიურობდნენ მთელი კავკასიის ასპარეზზე.

ნიშანდობლივია, რომ უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვარზე, ქართულ პროვინცია კამბეჩში XII საუკუნეში ჩნდება ქალაქი „აფხაზი“, 978 წელს ქუთაისში შეწყდა „აფხაზური დინასტიის“ არსებობა. „აფხაზი მეფეების“ ტახტი დაიკავა ბაგრატ III ბაგრატიონმა (გურგენ II ქართველთა მეფისა და „აფხაზთა მეფის“ ქალიშვილის ძემ). საგანგებო მანიფესტით ბაგრატიონებმა თავი „აფხაზი მეფეების“ მემკვიდრეებად გამოაცხადეს და დასავლურ-ქართულ არისტოკრატიას დაუტოვეს აშკარა უპირატესობანი. XII საუკუნის 80-იან წლებში მეფეთამეფე თამარმა მოახდინა „ყოველი საქართველოს“ სრული უნიტარიზაცია, რასაც მოჰყვა „იმიერის“ („აფხაზეთის“ აჯანყება „ამიერის“ აღმოსავლეთ საქართველოს) წინააღმდეგ. დასავლელი და მათ მიმხრობილი სამხრეთელი არისტოკრატები დამარცხდნენ, ამ დროიდან გაქრა „აფხაზთა სამეფოს“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) ფორმალური და ფაქტობრივი მეგობრობა ერთიან ქართულ მონარქიაში.

ლეონ II ძველი კოლხეთის პოლიტიკური ტრადიციების საფუძველზე აღადგინა ქართველი და აფხაზი ხალხების მარადიული სახელმწიფოებრივი ერთიანობა. იგი ისეთივე ეროვნული გმირია, როგორც ქუჯი, გუბაზი, ადარნასე I, აშოტ I, დავით კურაპალატი, კვირიკე დიდი კახთა მეფე და ა. შ. „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნით დაედო სათავე „ყოველი საქართველოს“ აღზევებას, რასაც ფეოდალური ეპოქის „ოქროს ხანა“ მოჰყვა.

„აფხაზეთის სამთავროს“ ძლიერების ზენიტი აღმოჩნდა ქართული იმპერიის იმპულსიც და სუბსტანციაც. ერთიანობა გახდა ჯერ ხსნის, შემდეგ კი შეუჩერებელი აღმავლობის საფუძველი.

ერთიანობის რეალური ძალა გამოჩნდა გათიშვის პერიოდში. აშკარა გახდა, რომ „საქართველოებად“ დაშლილი ცალკეული ერთეულები“ ოდიშ-აფხაზეთი, გურია, იმერეთი, სვანეთი, ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო ვეღარ ახერხებდნენ თავი დაეღწიათ საერთო კრიზისისაგან. აფხაზეთში თანდათან ეცემოდა საქალაქო ცხოვრება, კულტურა, უკან იხევდა ქრისტიანიზმი, ფერმკრთალი ხდებოდა კოლექტიური მეხსიერება. ლეონ II „აფხაზთა მეფისა“ და იოანე აბაზგის მშობლიური კუთხე, განმანათლებელი იდეებით რომ კვებავდა ჩრდილოეთ კავკასიას, კინაღამ თვითონ გახდა ახალგაზრდული ტემპერამენტით აღსავსე ფეოდალური ყაბარდოს ნახევრად მეფის და ნახევრად ხელადის — ვინმე ინალის ექსპანსიის ობიექტი. ინალის ხანგრძლივმა თარეშმა ბზიფის ხეობაში ბევრი რამ [illegible].

რთულ XIX საუკუნეში, რომანოვების რკინის მარწუხებმა, რუსი კოლონიზატორების დაწოლამ, პანთურქისტულმა წამქეზებლურმა ქადაგებებმა და ტრაიბალიზმის რეციდივებმა ხელი შეუწყო დამღუპველ მუჰაჯირობას. სანახევროდ დაიცალა ჩვენი სიამაყე, საქართველოს ჭეშმარიტი მარგალიტი — აფხაზეთი. ახლო აღმოსავლეთის ცხელ მიწაზე დაქცეული აფხაზური სისხლი თავიდან ბოლომდე სტამბოლის სერალისა და პეტერბურგის ჯალათი იმპერატორების კისერზეა. არც თურქ, არც ქართველ ხალხს ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ჩვენ არც უკანასკნელი რეპრესიების თანამონაწილენი ვართ. 20-30-50-იანი წლების „პოლიტიკას“ ქართველი ხალხი არ ქმნიდა.

თორმეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ლეონ II-მ გაათავისუფლა დასავლეთ საქართველო და ეგრის-აფხაზეთის სამეფო შექმნა. 1200-მა წელმა დაკეცა ფრთები. იყო მეგობრული ზარების რეკვაც. იყო რეკვიემიც საკუთარი შეცდომებისა. უცვლელი დარჩა ერთადერთი და მარადიული — თანაცხოვრების უგრძესი გზა. უნდა გვახსოვდეს: რაც გავიარეთ, დასაწყისად თუ ჩაითვლება, ბევრზე ბევრი გასავლელი გვაქვს!

წერილების ეხო

„ნავთობსადენებთან მებრძოლნი“

„საქართველოს რესპუბლიკა“ № 198-199.

რედაქციას უპასუხებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა წერილი „ნავთობსადენებთან მებრძოლნი“, რომელშიც მოყვანილია ნავთობსადენებიდან საწვავის მოპარვის რამდენიმე კონკრეტული ფაქტი.

წერილში დასახელებული დანაშაულობანი ხდებოდა ქობულეთისა და ლანჩხუთის რაიონებში. ჩვენ დავუკავშირდით ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას და გამომძიებელ თ. ქებულაძესთან გამოვარკვიეთ, რომ ასეთ ფაქტებს იძიებდა რაიონული პროკურატურა, თუმცა მის ღონისძიებებს დადებითი შედეგი ჯერჯერობით არ მოჰყოლია. პროკურატურამ ამ დანაშაულობათა გახსნა ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას გადასცა. მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა კონკრეტული შედეგებისათვის დღესდღეობით რაიონის საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლებსაც არ მიუღწევიათ.

ლანჩხუთის რაიონში ნავთობსადენიდან საწვავის დატაცების 2 ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. დაკავებული არიან ეჭვმიტანილი პირები. ცხადია, მივაკითხეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოებს, მაგრამ მათ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია არ აღმოაჩნდათ.

სარედაქციო ფოსტიდან

მადლობა

რედაქციამ მიიღო წერილი რომელიც მიძღვნილია საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების სარდლის, **გელა ლანჩავასადმი.** მასში ნათქვამია:

საქართველოსათვის ამ მეტად მძიმე ჟამს, როცა თქვენ და თქვენს ბიჭებს ყველაზე მეტად გიჭირთ, მაინც შეგწევთ იმის უნარი, რომ დიდი დახმარება გაუწიოთ წყნეთის ბავშვთა სახლის პატარა ბინადართ.

მიიღეთ ჩვენგან და ჩვენი აღსაზრდელებისაგან დიდი მადლობა, გულისხმიერებისა და მატერიალური თანადგომისათვის. გწამდეთ, რომ გაღებული სიკეთე ასმაგად დაგიფასდებათ, უკვალოდ კი არაფერი იკარგება ამ ქვეყნად.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

წყნეთის ბავშვთა სახლის კოლექტივის სახელით, სკოლის დირექტორი მ. წილოსანი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი
აცხადებს, რომ 1993-94 სასწავლო წელს მისაღები გამოცდები მოეწყობა სპეციალობების მიხედვით შემდეგ საგნებში:

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე:

ა) ზოოინჟინერი; ბ) ზოოინჟინერ-ტექნოლოგი; — ბიოლოგია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); დასახელებულ სპეციალობებზე შემსვლელი მესამე საგამოცდო საგანს აირჩევს სურვილის მიხედვით შემდეგი საგნებიდან: ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

ბ) რძისა და ხორცის პროდუქტების ინჟინერ-ტექნოლოგი; — მათემატიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); მესამე საგამოცდო საგანს შემსვლელი აირჩევს შემდეგი საგნებიდან: ქიმია (წერა), ფიზიკა (წერა);

— ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტზე:

ა) ვეტერინარი ექიმი (ფართო პროფილის); ბ) ვეტერინარული სანიტარია; — ბიოლოგია (ზეპირი); ქიმია (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა);

ცნობებისათვის დარეკეთ: 72-11-64 — მიმღები კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას თავისი აზრი აქვს



გადმოვასვენოთ, დავასვენოთ და... დავისვენოთ

ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს მეცნიერი და მწერალი ბატონი ლევან სანიკიძე

— **ბატონო ლევან, ჩვენს გაზეთში („საქართველოს რესპუბლიკა“, 13. VI. 92) გამოქვეყნებულმა თქვენმა პუბლიკაციამ, სახელწოდებით — „მთელ ქვეყანას უყვარხარ...“, დიდი, ფრიად ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია. რედაქციაში განუწყვეტლივ გვირეკავენ, არ წყდება წერილობით გამოხმაურებათა ნაკადი. აქედან, ორასამდე წერილი, უკვე ადრევე გადმოგეცით, რათა გამოგენახათ დრო, გასცნობოდით და კვლავ თქვენვე გაპასუხებოდით, შეგვეფასებინათ თქვენგანვე წამოწყებული ეს, ასე ვთქვათ, „სტალინური კამპანია“.**

— „სტალინური კამპანიაო“? კარგი ნათლია ბრძანებულხართ, ბატონო გივი. დე, ერქვას აგრე, და ჩემზეც ახი ყოფილიყოს! მართლაცდა, თითქოს, აბა რა მრჯიდა, როცა ყოველი ჩვეულებრივი მოყვასივით, მეც ხომ მაქვს ჩემი საკუთარი „ერგა კაი პემერაი“ („სამუშაონი და დღენი“), და რა მრჯიდა-მეთქი, რომ ეგზომ უსაშველოდ მძიმე და თანაც უმადურ ტვირთს შევეჭიდე. მერე, თავიდანვე ხომ ვიცოდი და აკი იმ წერილის დასაწყისშივე მივანიშნე, რა ხმაური და აურზაური უნდა მოჰყოლოდა ამ სფინქსური, „სტალინური საფიქრალის“ აშლას ორივე ბანაკიდან — „სტალინელთაგან“ თუ „ანტისტალინელთაგან“ და ასეც მოხდა — იერიშები ორივე მხრიდან.

— **მაინც, როგორი პროპორციით?**

— ჯერ რაოდენობრივი პროპორციით — ასი წერილიდან 97 „სტალინურია“, 3 — „ანტისტალინური“.

— **შეფასებანი ყოველთვის რადიკალური, თუ ზოგჯერ მაინც შუალედური, კომპრომისული?**

— არავითარი კომპრომისული, ბუნებრივადაც — აკი სტალინზე მსჯელობა და სიტყვის ლეწვა კომპრომისულ თუ შუალედურ განსჯას არ ექვემდებარება. მხოლოდ ერთ რამეში ამჟღავნებენ სრულ თანხმობას: ეს ორი ურთიერთ „მტრული ბანაკნი“.

— **სახელდობრ?**

— ჩემი, როგორც ავტორის შეფასება — ორივე მხრიდან მე მონათლული ვარ, როგორც „სტალინელი“, ხოლო აქედან გამომდინარე — ხოტბა-დიდება „სტალინელთაგან“ და წყევლა-კრულვა „ანტისტალინელთაგან“.

— **მაშინ, უნდა მოგილოცოთ, ბატონო ლევან.**

— მილოცვა, რისთვის?

— **97 ქება 3 წყევლის წინააღმდეგ.**

— მაგრამ რად გავიწყდებათ ძალმოსილება ქართული ლანძღვა-გინებისა, წყევლა-კრულვისა!

— **განა, ქება ნაკლებ ვციით?**

— მაინც სულ სხვაა ქართული ლანძღვა — ლანძღვათა ლანძღვა ქართველისა ქართველის მიმართ!

— **თქვენს „სტალინელობას“ დავუბრუნდეთ, ანუ „ორივე მხარის“ ერთხმივ შეფასებას, ანუ — ამ შეფასების თქვენეული შეფასება.**

— ორივე მხარე ერთხმივ ცდება.

— **თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით.**

— სტალინისა და სტალინიზმის შეფასებისას მე არც „სტალინელი“ ვარ და არც „ანტისტალინელი“, არამედ — მხოლოდ ისტორიკოსი, რომელსაც მუდამ მოეთხოვება მოვლენების შეფასება „გაანჩხლებისა და მიკერძების გარეშე“ (sine irae et studio). ამით განვსხვავდები მე ჩემი ოპონენტებისაგან, რომლებიც სტალინის ფენომენს „განიხილავენ“ მისდამი „ნაყვარება-არნაყვარებას პრინციპით“. აი, ფაქტებზე ვილაპარაკოთ: ორი წლის წინ, ჩემი წიგნის, „მესამე დასის საქართველოს“ გამოცემის კვალობაზე, ამ წიგნში სტალინის დახასიათების მიხედვით, მე მოვინათლე „ანტისტალინელად“, ხოლო მოტივი ასეთი „გააზრებისა“? თურმე ის, რომ მე გავიმეორე საყოველთაოდ გავრცელებული თქმულება სოსო ჯუღაშვილის ცოდვის შვილად დაბადებისა, შვილისგან დიდებისადმი უყურადღებობისა და სხვ. როგორ თუ ეს გაბედაო, და წამოვიდა ლანძღვა-გინების ნიაღვარი — თუ პირადად (მაგ., ერთი ვინმე „ნაცეკარი“ ფილოსტერი ბეგიძე), თუ წერილობით („გაზ. „კაბადონში“, ვინმე ფეიქრიშვილი), თუ ტელეფონით (ერთი ვინმე „თავგადამკვდარი სტალინელი“. ანონიმი ჭკუის კოლოფი. ერთი თვე ამას მაფრთხილებდა ტელეფონიდან: „შენი საგინებელია სტალინი, როცა შენ ქართველი კი არა, იმერელი ხარ, ქუთაისელი. და გადი საქართველოდან ისევ შენს ქუთაისში!!!)...

...აჰა, რას იტყვით? ვის, რა [illegible] უნდა უმტკიცო, რომ ის „[illegible]“ თუ „სწორად“ ნათქვამი სტალინის პიროვნებას სიდიდეს ვერ დააკლებს, ისევე როგორც მსგავს ლეგენდებს არაფერი დაუკლიათ სოლომონ ბრძენის, კიროს დიდის, ალექსანდრე მაკედონელის და სხვა „დიადთა ამა ქვეყნისათა“ სახელებისთვის.

ხოლო, ახლა, თქვენთან დაბეჭდილი წერილის შემდეგ, როგორც ხედავთ, უფრო „სტალინელად“ ვიხსენიები.

მაშასადამე, უკვე საჭირო გახდა განმარტება თვითონ „სტალინელობისა“, როგორც, ასე ვთქვათ, „დეფინიციისა“. ამისთვის კი აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ და გავყოთ პიროვნება და მის სახელთან დაკავშირებული „იზმი“, მაშასადამე — ცალკე სტალინი და ცალკე სტალინიზმი.

და, თუ მე ვამბობ (ვამბობ და ვამტკიცებ კიდეც), რომ **სტალინი მსოფლიო პიროვნებაა, ხოლო სტალინიზმი ოდიოზური და თანაც განუხორციელებელი ქიმერა** — რად ჩავითვლები მე, „სტალინელად“ თუ „ანტისტალინელად“?

ჰოდა, ვის როგორ ენებოს და რაც ენებოს, ის მიწოდოს, მე კი როგორც ისტორიკოსს (და არა „ნაყვარება-ნაძულებას“ მიხედვით) სწორედ ეს პოზიცია მეჭირავს: სტალინი მსოფლიო, გენიალური პიროვნებაა, სტალინიზმი კი ყველა „იზმის“ (სოციალიზმი, კომუნიზმი, მარქსიზმი, ლენინიზმი) კომპლექსური ვარიაციით ზედმეტნაკლებად ეფემერული და ბოლომდე მუდამ განუხორციელებელი ქიმერა-მეთქი.

სოციალიზმი — ყბადაღებული ადამიანთშორისი თანასწორობა — მარადიულად კაცობრიობისთვის დიახაც საოცნებო „იდეა“ — არასოდეს განხორციელდება, რადგან თვითონ ბუნებას არ „უწარმოებია“ ადამიანები ასე „თანასწორ ბუნებისად“, ერთიან მასად, ანუ ერთსახოვან „სერიულ ნაწარმად“, როგორც, ვთქვათ — ერთნაირი ბოთლები, ან... ჭანჭიკები!... აკი ყოველი ადამიანი, ცალკე, პიროვნული, მეორე ადამიანისგან განსხვავებული, მაშასადამე, „არათანასწორი“ იბადება, **ბუნებითვე!** ამიტომ ადამიანთა შორის მაინცდამაინც თანასწორობის შექმნა, ანუ მათი გათანასწორება, ანუ „სერიული გამასება“ (Vermassung), მხოლოდ ბუნების საწინააღმდეგო, სრულიად ალოგიკური (იქნებ ამორალურიც!) აკვიატებაა და სხვა არაფერი.

მაგრამ ეს ალოგიკურ-ამორალური „იდეა“ თუ „თეორია“ სოციალიზმ-კომუნიზმისა, დაწყებული ძველთაძველი „პლატონიზმიდან“ და დამთავრებული „მარქსიზმ-ლენინიზმით“, **პრაქტიკულად** განხორციელებას (თუ განხორციელების ცდას) მაინც მხოლოდ სტალინიზმში პოულობს.

სწორედ სტალინმა **პირველმა** შექმნა ასეთი „თანასწორი“, მაშასადამე, არაბუნებრივი, ერთსახოვნად „გამასებული“ საზოგადოებრივი ქიმერა.

ასე რომ, სტალინმა ბუნებაში, თვითონ ბუნების წინააღმდეგ შექმნა ახალი ბუნება, ანუ ანტი-ბუნება! რასაკვირველია, ყოველი რაიმე ანტიბუნებრივის შექმნა ბოლოს და ბოლოს, გარკვეული ეტაპის გავლის შემდგომ მაინც, კრახით უნდა გათავდეს. მაგრამ თუნდაც ეს ანტი-ბუნებრივი თუ ალოგისტური ცდა, ექსპერიმენტი, ფაქტი თუ აქტი — **თავისთავად ხომ გრანდიოზულია, განუზომლად გრანდიოზული!** ხოლო, შემოქმედი ასეთი თუნდაც ალოგიზმისა, თუნდაც ანტი-ბუნებისა, განა სიდიდე არ არის და თანაც განუზომელი სიდიდე?! გინდა სატანა დაარქვი, გინდა სუპერსატანა. თუნდაც, მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრებით — ცალკე ლუციფერი, თუ ცალკე მეფისტოფელი, ვითარცა ცალკე „პიროვნული სიდიდე“, ერთად აღებულ რვავე არქანგელოსს (მიქაელ, გაბრიელ, რაფიელ, ურიელ, სელაფიელ, ეგუდიელ, ვარახიელ, იერომიელ), უკეთუ არ „სჯაბნის“, ვითომ ნაკლები სიდიდეა?!

ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ **საანბანო ჭეშმარიტებას** — სტალინი უდიდესი, მსოფლიო პიროვნებაა — გაკვირვების უფლება მაინც გაქვს, როცა ეს ვერ გაუგია რომელიმე „პროფესორად“ თუ „მწერლად“ წოდებულ სუბიექტს (აღარას ვამბობ იმნაირ „ჭკუის გვადრუცებზე“, ქართველი და ქუთაისელი სხვადასხვა ეთნიკურ ჯიშებად რომ გაიაზრება!).

— **მაგალითი თუ შეიძლება, ბატონო ლევან?**

— მაგალითი ბატონი გურამ მუჩაიძე და მისი მყვირალა წერილი — „მე ვამაყობ, რომ სოციალ-დემოკრატი ვარ!“.. კი, ბატონო, ღმერთმა მოგახმაროთ ეგ თქვენი „სოციალისტური მყვირალობა“ (თუნდაც, „ირმის მყვირალობასავით“!), მაგრამ ლანძღვა-გინება და ინსინუაცია რა საკადრისია?

— **ბატონი გურამი უეჭველად თქვენმა წერილმა გაანაწყენა, „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ გამოაქვეყნეთ, სახელწოდებით — „ილია თუ... ნოე?!“**

— მე მისი წყენა ფიქრადაც არ მომსვლია. პიროვნულად პატივს ვცემდი და კვლავ პატივს ვცემ. მინდოდა მხოლოდ სინამდვილე, თუნდაც მწარე სინამდვილე დამენახვებინა, ჩვეულებრივი, კოლეგიალურ-მეცნიერული ეთიკის დაცვით.

სახელდობრ, მე ვამტკიცებდი, რომ სოციალ-დემოკრატობანას აღდგენა, თანაც რაღაცნაირი „ნეო-მენშევიზმის“ ფორმით, ილია ჭავჭავაძის უარყოფა, მისადმი მტრობას ნიშნავს და ილიას დაუძინებელი მტერი ნოე ჟორდანია დღეს ქართველ ხალხს ეროვნულ გმირად არ გამოადგება-მეთქი; თან, ყველაფერი წარმოდგენილი მაქვს შესაბამისი **დასაბუთებით და დოკუმენტურობით.** ხოლო, ბატონმა გურამ მუჩაიძემ ყველა ამ საბუთსა და დოკუმენტს **გვერდი აუქცია** (ან რა პასუხი უნდა გაეცა, როცა სინათლე სინათლეა და ბნელის დარჩმევას ვერ მოუხერხებ!) და ამნაირი ისტერია აიტეხა: არიქა, სანიკიძე სტალინელი ყოფილა და ნოე ჟორდანიას იმიტომ გვილანძღავს, რომ სტალინს სძულდაო ჟორდანია — ისე სძულდაო, ცხელი უთოთი უპირებდა დაუთოებასო!... მოდი ახლა და ეკამათე ამნაირი „მეთოდით მოკამათეს“, ლანძღვა და ინსინუაცია, მეტი არაფერი... გნებავთ, ჩემდა გასამტყუნებლად, დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ, ორივე წერილი ერთად აიღოს, ჩემიც და მისიც. ერთმანეთს სტრიქონებით შეადაროს და დაინახოს — მე რას ვწერ და ის რას „პასუხობს“! როგორც იტყვიან — სიტყვა ალთას, პასუხი ბალთას.

ერთი „სალანძღავისთვის“ კი ძალიან, უსაზღვროდ მადლობელი ვარ ბატონი გურამისადმი: იგი მე, თუ არ ვცდები, „ნაციონალისტობაში“ მდებს ბრალს. ღმერთმა აგაშენოს ამნაირი „ბრალდებისათვის“! მაგრამ ეს „სიბრძნე“ ფინლამ დაუმადლოს ბატონ გურამს, ამას რომ წერს შავით თეთრზე: ქართველმა ხალხმა ნაციონალიზმის სახადი უნდა მოიხადოსო! ჰხედავთ, ბატონებო?! თანაც, ნაციონალიზმი და ექსტრემიზმი ლამის სრულ იგივეობაში წარმოუსახავს ამ, სწორედ სტალინურად მოაზროვნე პროფესორს („წითელ პროფესორს“!). ერთი სიტყვით, იხილე და დატკბი, ქართველო, ნუ ჩათვლი ამას შეურაცხყოფად! იხარე მტერო, დაიქეც ჭერო!

ამასთან დაკავშირებით, ერთ ახალ ამბავსაც ვიტყვით და აი მაშინ ნახეთ ბატონი გურამის ისტერიკა! საქმე ის გახლავთ, რომ ყოველგვარი „იზმი“, მათ შორის სოციალიზმიც, ამა თუ იმ ერში, ანუ „ნაციო“-ში, **მხოლოდ და მხოლოდ** მაშინ გაიმარჯვებს და იზეიმებს, უკეთუ იგი **ნაციონალიზმთან კავშირში,** მისგან განუყრელ და განუკვეთელ ზიარებაში ივლის და იმოქმედებს. ერთი სიტყვით, **ნაციონალიზმთან სისხლხორცეული კავშირი აუცილებელი პირობაა-მეთქი, ყოველი „იდეის“ თუ „თეორიის“ პრაქტიკულად გამარჯვებისათვის** (აფსუს, ბატონო გურამ, სად არის ახლა „სტალინური კაგები“!).

ასე რომ, ბატონი მუჩაიძის საპირისპიროდ, ამ ლოცვას ვამბობ: ღმერთო, უფალო, ნაციონალიზმის „სახადი“ არასოდეს მოხდოდეს საქართველოს! (იმას კი გავუძლებთ, ერთი მუჩაიძე და მისი „თანასოციალისტები“ თუ არ „შეიყრიან“ ამნაირ „სახადს“!).

არადა, „სახადი“ რომ დავიჩემოთ, მართლაც რომ სჭირს საქართველოს უმძიმესი, „სახადი წყლულებადი“, და ეს გახლავთ არა ნაციონალისტური, არამედ, ვაი რომ სწორედ პირიქით — **სახადი ანტინაციონალისტური** — სახადი გახელებული მედროვეობისა, პოლიტიკური სპეკულაციისა, ქუჩური ოხლაგოგიისა, „ცხრა მთავრობის“ (თუ „შვიდთა იყლიმთა მეფეთა“) მონაცვლეობის შესატყვისად, ანუ „დრო და ჟამის შესაფერად“ სინდისისა და კანის გამოცვლისა, ფარისევლობისა („ჩინს მომცემენ ტემლაკებსა“), ყოველივე ურცხვად, **საჯაროდ — საჯაროდ** „ბილეთების“ დაწვა, **საჯაროდ** „პრემიების“ უარყოფა, — მანამდე რომ იგივე, „ბილეთების“ თუ „პრემიების“ მოსაპოვებლად, **საჯაროდ** დანაზე ეხეოდნენ, **საჯაროდ** მიკროფონთან ყვირილით თუ პრესაში „მწვიტინით“, ენისა და კალმის დაცვეთამდე! ყოველივე **საჯაროდ, საჯაროდ...** და დავიწყება ქრისტეს მცნებისა: თუ ლოცვა გინდა, შედი შენს სახლში, მიიხურე კარი და ილოცე შენთვის, მარტომ... შენთვის-მეთქი, და არა საჯაროდ, სახალხოდ, სასპეკულაციოდ. შენ თვითონ, მარტო, უხმაუროდ და უყარყაშოდ დაწვი (გინდა წყალს გაატანე) შენი ძველმანი — „ძველი ბილეთი“, „ძველი პრემია“, „ძველი კანი“.. და ისიც შენთვის, მარტომ გაარკვიე, რომელი უფრო ყალბი იყო — „ძველი სული“ თუ „ახალი სული?!“ ან, რომელი უფრო „გამძლე“ და „მორგებული“ იქნება — „ძველი კანი“ თუ „ახალი კანი?!“.

და, თუ შეუძლია კაცს, ამდენი **ნაკაცარი, ანტინაციონალისტური საფეხურების** გარბენის შემდეგ, დღეს კიდევ ახალი, რაღაც „საკომპენსაციო“ მანიპულაციებით პარლამენტს („მეათე მთავრობაში“!) შეღწეული, სტალინურ-კომუნისტური მანერით ხელების ბრაგუნით მენტორობს — თუ შეუძლია-მეთქი, რომ იმ კომუნისტურ ბილეთთან ერთად, ის კომუნისტური „დისერტაციებიც“ და მით მოპოვებული „წითელი პროფესორობაც“ (ცეცხლს მისცეს ლუკმად?!

აი, როდის შეიძლება განსხვაოს ბატონმა გურამ მუჩაიძემ ერთმანეთისგან (და ბევრმა სხვამაც) სტალინის პიროვნული სიდიდე (რაის მტკიცებაში მე ვარ „ბრალეული“) და სტალინიზმის როგორც განუხორციელებელი ქიმერის არსი (ქიმერის ლუკმა — თვითონ მუჩაიძე, „სტალინურად ანტინაციონალისტი“!).

რა ექნათ, თუნდაც მე ისევ ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ სინამდვილეს, ბოლოს და ბოლოს, ვინ გაექცევა, ყველამ თავის თავს მოჰკითხოს, რაკილა — „არისტოტელმან მეძიებელმან თავი თვით მისცა საძიებელად“— ბრძანებს ამას ჩახრუხაძე, დიდი თამარის თანამედროვე (არა „მედროვე“!).



ი. ბ. სტალინის კუბოსთან. 1953 წ. 8 მარტი.

რსფსრ სახალხო მხატვრის, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ა. ნ. იარ-კრავჩენკოს ნახატი (რედაქციის არქივიდან).

მაინც მოვეშვათ მუჩაიძეს — იყოს თავისთვის, თავის ნეომენშევიზმით და ანტინაციონალიზმით, მაგრამ მარტო ერთი მუჩაიძე როდი ჩაუგდია საგონებელში „სტალინურ უთოს“. აი, კიდევ, რომელიმე მწერალი თუ მწერ-ავი, გინა scriptor lucunculus, იმის გამო, რომ სტალინი „არ ნაყვარება“, ამ სახელის რაიმე პოზიტიური ხსენებისთვის, პირდაპირ ისეთივე ქუჩური ლანძღვით ილანძღება, როგორც მისი „დიდი ლიტერატურის“ რომელიმე „მთავარი გმირი“, ვთქვათ, ვინმე ბუდუია ძუნძგლი! აბა, რა მანქანებით უნდა შეაღწიო ამნაირი „მოაზროვნის აზროვნებაში“, როცა სტალინი კი არა, ესეც რომ წამოგცდეს — ტრაპიზონის მხარე ისტორიული საქართველოა — ამ საანბანო ჭეშმარიტების ხსენებაზეც კი — რატომ, კაცმა არ იცის — ცოფით პირდაპირ ბნედა ემართება!

რა გაიწყობა! გვყავს — ბლომადაც გვყავს ასეთი „პროფესორნი“, და „სკრიპტორნი“, რომელთაც ჩვენი დიდი ისტორია სადღაც, ჰოპერუტანიდან თუ დაულანდავთ და, სწორედ ამიტომ ვერ შეაგნებინებ ამ „ჭკუის გვადრუცებს“ იმ მარტივ ჭეშმარიტებასაც, რომ **სტალინი ქართული ისტორიის ღვიძლი ნაწილია,** გინდა „მასალა“, გინდა „პროდუქტი“. — რაც გინდა ის დაარქვი, მაგრამ მაინც ქართულიმეთქი!

ამიტომ — „ნაყვარება“ თუ „ნაძულება“ — მშობელმა თავის მკვდარ შვილზე უნდა იზრუნოს, იჭირისუფლოს, მით უფრო, როცა მზადდება სწორედ მშობელი ერის უაღრესად დამამცირებელი დივერსია მისი შვილის აქამდეც სასწაულად შემორჩენილ ძვალთა ზედა. აკი უკვე წამოიროშა იქ, ჩრდილოეთში, გოგ-მაგოგისგან, აი მუქარით: სტალინის ძვლები ზარბაზანში უნდა ჩავყაროთ და იქით ვისროლოთ, საიდანაც მოსულაო! ჰხედავთ? და რა დაუდგებათ, რომ ეს „სეირი“ არ მოაწყონ; აკი ცრუდიმიტრად წოდებული თავისი სისხლხორცი, გრიშკა ოტრეპიევი, არ დაინდეს, მთელი მსოფლიო ისტორია ზარბაზანივით მის გასროლაზე აცინეს, და ახლა ვითომ იმ ჩვენებურ, მათთვის „უცხო კაცს“ დაინდობენ? და არ იქნება ეს დამცირება მისი მშობელი ერისა?! თუნდ, ბაგრატიონის საფლავი ხომ უკვე მოთხარეს და შეაგინეს — რუსეთზე სიცოცხლით სრულად გადაგებული პეტრე ბაგრატიონისა, სწორედ ქართველობისთვის მოთხარეს... და ასე, ქართველს ქართველი მიჰყვება, და ჩვენც ვუცქიროთ, დავტკბეთ, დამცირებითა ჩვენითა!...

ამიტომ — ნუ იყოფინ, ძმანო ქართველნო! ნუ დავაგვიანებთ, და გადმოვასვენოთ-მეთქი ქართული ჭიშით „აღმოშობილი“ (ილიას სიტყვა) მსოფლიო კაცი, სრულიად ადამეთის პოლიტიკური პრინცეპსი. ამას გვკარნახობს მართალი, მიუკერძებელი და მიუდგომელი ისტორია, და არა ღვარძლიანი, ჩიორა სულიდან „აღმოშობილი“ წებოვანი პროვოკაცია ყბადაღებული „სტალინისტობისა“.

— **ალბათ, შეჯამება ჩვენი საუბრისა მაინც წერილობით გამოხმაურებათა ზოგადი შეფასებით უნდა მოხდეს, ბატონო ლევან.**

— დიახ, სწორედ ზოგადად, რადგან, ცალკეულად ყოველ წერილზე პასუხის გაცემა ერთ საგაზეთო წერილში არ მოხერხდება; არადა, ორი ასეული წერილიდან დიდი უმრავლესობა სწორედ რომ იმსახურებს ცალკეულად მათ ავტორებთან მადლიერსულ გასიტყვებას. აი, ბატონ ალ. მირცხულავას ვრცელი, გულწრფელი მოგონებანი სტალინთან პირადი შეხვედრებისა; ასეთი მემუარი უნდა დაიბეჭდოს თუნდაც სამომავლოდ, მეცნიერული კვლევისათვის საჭირო საისტორიო წყარო. აი, ავტორთა სიმაღლიდან დაწერილი წერილები — პროფ. შალვა კერესელიძისა, დოც. პავლე ნაცვლიშვილისა, მწერლების — კარპე მუმლაძისა და ლავრენტი ფიფინაძისა; ძალზე საინტერესოდ, საქმიანად და ჭკვიანურად მსჯელობენ: ი. ნებაძე და ბ. ბლუაშვილი (ახალციხე), ა. ლიპარტელიანი და ფ. მუკბანიანი (ლენტეხი), ელენე და დიმიტრი ზარიძეები (გურჯაანი), ო. მაჭარაშვილი (კასპი), მ. ლობჟანიძე (ონი), გ. აბულაშვილი, ს. შალვაშვილი, თ. ნატროშვილი (სიღნაღი), დ. ბედიანიძე (საჩხერე), მ. ჭელიშვილი, ვ. ცირეკიძე, ა. ქასრაშვილი (ტყიბული). მ. მათიაშვილი (გურჯაანი), მ. არჩვაძე (გორი), გ. კახიძე (ბათუმი), შ. დოლიძე (ოზურგეთი), გ. ცისკარიშვილი (ახმეტა), ა. მალაშვილი, კ. ჩაკაბერია, შ. ბარათაშვილი, ს. კაკუშაძე, მ. მორჩილაძე, გ. ქობულაშვილი, ზ. ქართველიშვილი (ყველა თბილისიდან), კოლექტიური წერილები.

და, თითქოს ეს იყო რაღაცნაირი „რეფერენდუმი“ თუ „სოციალური გამოკითხვა“ — ყველა მოითხოვს სტალინის, როგორც მსოფლიო პიროვნების, ან დიდი პოეტის („დილას“ ავტორი) გადმოსვენებას მის მშობელ გორში. „მოითხოვენ“ — იმას არ ნიშნავს, ვისმესგან, ვთქვათ, ხელისუფლებისგან, მისი ხარჯებით თუ „ინიციატივით“ მოითხოვდნენ, — არამედ თვითონ ქმნიან საჭირო ფონდს, თვითონ უნდათ შექმნან საამისო ორგანიზაცია... მხოლოდ ხუთიოდე ავტორი აცხადებს უარს სტალინის გადმოსვენებაზე, აქედან ოთხის „დასაბუთება“ არის ჩვეულებრივი „პროვინციული ლანძღვა-გინება“, მხოლოდ ერთი (თ. ქათამაძე, თბილისიდან), მისი ცოდნით და კულტურით, იმსახურებს ყურადღებასაც, დაბეჭდვასაც.

მაშ, დავასრულოთ, იგივე სიტყვებით, რითაც იმ წერილს ვასრულებდით:

„გადმოვასვენოთ, დავასვენოთ და... დავისვენოთ“...

თუმცა, მსოფლიო, სრულიად ადამეთი, **ვერასოდეს ვერ დაისვენებს** მასზე ფიქრით, მასზე სიტყვიერებით, მასზე ლოგოლოგიით — სტალინოლოგიით თუ სტალინოსოფიით — გინდა დაარქვი თეოლოგია, გინდა სატანოლოგია; სიდიდე მაინც სიდიდეა!

ესაუბრა ● **გივი ჩიქვინიძე.**

კარიკატურისტის კომენტარი



დადის და დაჭორაკუდაობს...

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ვაჟა ეგრისელი



ციკლიდან „კოლხური ფსალმუნი“

კოლხეთში

ლეგენდის ტოტზე ჰკიდია მზე —
ოქროს საწმისი,
არ სჩანს აიეტ...
მე მედეას ღალატს აქ ვეძებ,
რადგან ზღვისკარად —
ისევ მიდგას
იმედის ქოხი.
წარსულს ვაძოვებ ჩემს ღამეებს —
ოქროსფერ ვერძებს,
მე — შორეული ლეგენდიდან მოსული კოლხი.

ყულევთან

შემოდგომაა..
შეაცოცდა ხის ტოტებს მწუხრი,
მზემ მიიხურა ვარდისფრად კარი.
მე კი ყულევთან —
ზღვის ძე და მოდგმა, —
ვზივარ და ვუსმენ:
შავ წარსულის
ნაპირთან მდგარი
შვილწართმეული —
კოლხი დედის კივილს
და მოთქმას...

ჩემი ბავშვობა

წარსულის ციდან —
მოგონება წვეთავს და
წვეთავს:
ორმოცდახამი...
ომი..,
შიში...
ვფიცულობთ ძმის მზეს.
ერთი პერანგი... და იმასაც ცეცხლზე აშრობენ.
მეგრულ კერასთან ზის შიშველი —
ჩემი ბავშვობა
და მოწყენილი,
დარდიანი თვალებით მიმზერს.

სოფელში

სილურჯესა და სიანკარეს —
წუხს ხობისწყალი
და მთების დარდებს
ზღვისკენ მიათრევს...
მწუხრი შორს სჩანდა,
მაგრამ მაინც
უცებ შებინდდა.
და აი, ახლა,
ციცინათელას დაჭრილ ფრთებიდან —
წვეთავს და წვეთავს —
ლურჯი სინათლე.

ჩემი კოლხეთი

ფორთოხლის შუქზე —
კვლავ იღვიძებს
ჩემი კოლხეთი,
ცას დაეძებენ ჭილაკები ზეთის-ხილების.
მე —
ჩემი მიწის —
ციცქნა ნაპერი,
მშობლიური ცის სილამაზეს —
არ ვემხილები,
რადგან..
ციური ვარსკვლავებით ვიქმენ —
დაჭრილი.

ისევ სოფელში

სიბნელის სკამზე შემდგარა ღამე,
ვითარცა გლეხის
შავტუხა ბიჭი,
და ზეცას აჭედს ვარსკვლავების
ჟანგიან ლურსმნებს,
მე, კოლხურ ოდის აივანზე ვწევარ და
ვუსმენ:
ბრიჭინობლების ნაღვლიან ბრიჭინს.

წარსულის ქარი

თმაგაბურძგვნილი, შავი და ცივი
ღამე მახსენებს —
კოლხეთის წარსულს,
გამკრთალი ელვა —
შეცხადებას მეგრელი დედის,
რომელსაც უცებ
მოსტაცეს შვილი, —
გადამთიელმა ყურსალარებმა.
და მოდის ქარი —
სიშორის ტოტით
და მარტო ვრჩები ლელეხთან და
წარსულის ქართან:
კივილი...
მოთქმა...
შეცხადება..,
სისხლი და ცრემლი...
სხვა არაფერი...
არაფერი...
სიბნელის გარდა.

ქარები

ქარებს გადმოაქვს წარსულიდან —
ცივი ციაგით:
მეგრელი დედის
შეცხადება...
ცხენთა თქარუნი...
ბავშვის ტირილი...
შუბლშეკრული მთვარე —
კეთილი..,
ანძების რწევა...
თურქ-თათართა ხმები ტიალი...
და ზღვის მკერდიდან თავაწყვეტილი —
ლაშქალრენილი ზღვა-ზვირთების
ჯაჭვის ზრიალი.

გათენება

გამთენიისას —
სიჩუმეში ჩადგა ზღვაური,
გრიგალს უხმობენ
თოლიები
და იალქნები.
ცისკრის ძაფები ცას ჰკიდია,
როგორც პოტიკი
და კუდიანი
ვარსკვლავები —
კუდს მიაქნევენ
და წუხს კოლხეთი დიადი ზღვით
და ეგზოტიკით.

ხსოვნის მდინარე

ხსოვნის მდინარევ,
რიონივით რატომ ადიდდი,
რატომ სწუხს ხორგა,
ქარიატა,
და ჭალადიდი...
დარდებმა რატომ გაათეთრა ეს აკაცია?
შავ ზღვას შავები რატომ აცვია?
ან რატომ კოცნის
მწუხარების
შავი ენები —
ტანჯული კოლხის ბედს ნარ-ეკლიანს;
ვიცი,
ო, ვიცი, ეს მოჩვენება,
კოლხთა წარსულის ხევდიანი —
ანარეკლია.

რუხის ციხესთან

მომხვდურთ თავები პანტა ვაშლივით —
თურმე ცვიოდა
ციხიდან და აკროპოლიდან,
ქვა დახვედრია აქ, როდესაც სიტყვა მოვიდა.
მითრიდატეს თუ აიეტის შტოზე ნამყენი —
კოლხეთის წარსულს მილამპრებიან —
ჩვენ აქ მტვერი რომ
გავალეძეთ და ავაყენეთ,
მტვერი კი არა,
მამულისთვის მტვრად ქცეული
წინაპრებია...

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბ. კლინტონი: „ძალღონეს არ დავიშურებ“

ხუთშაბათს ლითლ-როკში (არკანზასის შტატი) გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რუსეთის სიტუაცია „ჩემთვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ, ძალღონეს არ დავიშურებ იმისათვის, რომ დავეხმარო რუსეთს იმოძრაოს სწორი მიმართულებით“, ახლა ადამიანები რუსეთში, თქვა ამერიკის მომავალი ადმინისტრაციის მეთაურმა, „დიდ გაჭირვებას განიცდიან“, რომ იგი და ქვეყნის არჩეული ვიცე-პრეზიდენტი გორი დიდ დროს ანდომებენ ისეთი საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტის ძიებას, რომელიც ამერიკის საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემის გათვალისწინებით „სტაბილურს გახდის რუსეთის მოძრაობას“ რეფორმების გზაზე და „ადამიანებს საბოლოო წარმატების რწმენას შემატებს... დაარწმუნებს მათ, რომ რთული გზის დასასრულს, ცისარტყელა ანათებს“.

ბრიუსელში იხსნება ნატოს საბჭოს სხდომა

ბელგიის დედაქალაქში გაიმართება ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის — ერთი წლის წინათ შექმნილი საერთაშორისო ფორუმის საბჭოს სხდომა, რომელშიც შედიან ნატოს, აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები და საქართველო. დელეგაციათა უმრავლესობას მეთაურობენ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები. ისინი განიხილავენ ევროპის უშიშროების განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგების შესაძლო გზებს. მოელიან, რომ სხდომაზე მიიღებენ დიალოგის განვითარების, 1993 წელს პარტნიორობისა და თანამშრომლობის გეგმას, რომელიც მოიცავს უშიშროების, სამხედრო დაგეგმვის, კონვერსიისა და ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის პრობლემებს.

დროებითი ადმინისტრაციის შესახებ

ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის (ჩრდილოეთ კავკასიის) ტერიტორიაზე უმწვავესი ვითარების ნორმალიზაციისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და საგანგებო წესების პერიოდში მათთვის საჭირო დახმარების გაწევისათვის, სამუშაოთა შემდგომი კოორდინაციის მიზნით, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გამოსცა ბრძანებულება „ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკისა და ინგუშეთის რესპუბლიკის ტერიტორიებზე დროებითი ადმინისტრაციის შესახებ“.

ბრძანებულების შესაბამისად, სერგი შახრაი განთავისუფლებულია დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის თანამდებობიდან. მას დაევალა უზრუნველყოს რუსეთის ფედერაციის სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო კომიტეტებისა და დროებითი ადმინისტრაციის თანამოქმედება საგანგებო წესების რეჟიმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

დროებითი ადმინისტრაციის მეთაურად დაინიშნა პრეზიდენტის სახელმწიფო სამართლებრივი სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ალექსანდრე კოტენკოვი.

საქართველოს ტურისტული ფირმა „არმაზი“ გთავაზობთ მოგზაურობას
დეკემბრისა და იანვრის თვეებში
მარშრუტებით:
1. პაკისტანი — 7 დღე. ფასი 185 ა. დ. და 86.000 მან.
2. შრი-ლანკა — 7 დღე. ფასი 175 ა. დ. და 92.000 მან.
3. ინდოეთი — 7 დღე. ფასი 175 ა. დ. და 86.000 მან.
4. პოლონეთი — 4 დღე. ფასი 55 ა. დ. და 14.000 მან.
5. სლოვაკეთი, „მაღალი ტატრები“ სამთო-სათხილამურო კურორტი — 7 დღე, ფასი 105 ა. დ. და 21.000 მან.
6. გერმანია — 4 დღე. ფასი 170 ა. დ. და 30.000 მან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ტელეფონი: 36-48-11
მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ. 32.
ცირკის სასტუმროს II სართული

ვის აძლევს ხელს დეზინფორმაცია?

თურქეთის რესპუბლიკის თბილისის საელჩოს დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ვაჰიმ ოზდემირმა გააკეთა შემდეგი განცხადება პრესისათვის:

ზოგიერთ ქართულ ბეჭდურ ორგანოში (მაგალითად, გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“) გამოქვეყნებული ცნობა იმის თაობაზე, რომ დამხობილ პრეზიდენტ გამსახურდიას სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტში შეხვდა თურქეთის პრეზიდენტის ბატონ ოზალის საგანგებო წარმომადგენელი, რომელმაც გამსახურდიას გადასცა ჩვენი პრეზიდენტის სპეციალური წერილი, და რომ გამსახურდიას საუბარი ჰქონდა თურქ პარლამენტარებთან, მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. საქმე ასეა:

1. დადგენილია, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა გამსახურდიამ პირადობის დამადასტურებელი ყალბი საბუთები გამოიყენა, რათა ტრანზიტით გაევლო სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტი. მან აეროპორტი დატოვა ხანმოკლე შეჩერების შემდეგ.

2. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხანმოკლე შეჩერების დროს, გამსახურდია არ შეხვედრია თურქეთის მთავრობის არცერთ წარმომადგენელს ან ოფიციალურ პირს.

3. აქედან გამომდინარე, საჭიროდაც კი არ იქნა მიჩნეული იმ სპეკულაციური ხასიათის ცნობების უარყოფა, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა. არსებითად, კი, ოფიციალური ხელისუფლების მიერ რეალობას მოკლებული ნებისმიერი ინფორმაციისათვის პასუხის გაცემა ან მათი უარყოფა მიზანშეწონილი არ არის.

ასეთი ხასიათის ინფორმაციებს თხზავენ ის წრეები, რომელთაც აშფოთებს, მოსვენებას არ აძლევს თურქეთ-საქართველოს მეგობრობა. არავის არ შესწევს ძალა ხელყოს ამ ორი ქვეყნის კეთილმეზობლობა.

— ხომ არ დაგავიწყდათ —

ჩვენი გაზეთის გამოწერა?

თუ გინდათ,
რომ ცხოვრებას
არ ჩამორჩეთ
და ყველაფერი იცოდეთ,
რაც დედამიწის
ზურგზე ხდება,
გამოიწერეთ ყველაზე
იაფი ყოველდღიური
ქართული გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა

იჩქარეთ!

დღეს ხელმოწერის
ბოლო დღეა!

შეგახსენებთ, რომ მათ, ვისაც დამატებითი ხელმოწერის გამო გადახდილი აქვს 110 ან 88 მანეთი, ეს თანხა 1993 წლის ხელმოწერის ღირებულებაში ჩაეთვლებათ.

ეს ჩვენი საქართველოა!



ქუჩის მუსიკოსები.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

ქალიშვილი მამის ანდერძს ასრულებს

წლის ყველაზე კეთილი უცხოელის საპატიო წოდება მიანიჭა საფრანგეთის მოქალაქეს ირენ გედევანიშვილს სრულიად საქართველოს ჰუმანიტარულმა ასოციაციამ „კათარზისმა“. დიპლომთან და სამახსოვრო მედალთან ერთად მას საჩუქრად გადაეცა გობელენი ასოციაციის ემბლემის გამოსახულებით. ქალბატონმა ირინმა ასეთი ყურადღება დაიმსახურა პირადი ინიციატივისთვის, რომელიც გამოიჩინა საქართველოში ჰუმანური დახმარების პარტიის ორგანიზაციისა და ჩამოტანის საქმეში.

— ეს დღე ჩემთვის ღირსშესანიშნავია იმითაც, — თქვა ქალბატონმა ირენმა, — რომ შევასრულე მამაჩემის ანდერძი — შეძლებისდაგვარად ყველაფერი გავაკეთო საქართველოსთვის. ასეთი სურვილი აქვს საფრანგეთში მცხოვრებ ბევრ ქართველს.

ისეთი ხუმრობისა რა ვთქვი

ოთარ ხუციშვილი

ვანო ოქროჯანაშვილს (კინაღამ კარაქწონაშვილი წამომცდა) სრულიად შემთხვევით საახალწლო ბაზრობაზე გადავეყარე. რა თქმა უნდა, ინტერვიუ არ მითხოვია (იქ ამის ადგილი სად იყო), უბრალოდ გამოვესაუბრე და გვერდით გავყევი. სხვათა შორის ბიზნესმენის ვაჭრობა არასოდეს მენახა და დავინტერესდი.

პატარა მანძილი რომ გავიარეთ, ბატონ ვანოს თვალი დახლებზე ჩამწკრივებული გოჭებისკენ გაექცა.

— რა ღირს, მეგობარო, თუ იცი, ეს შენი ჩაფუნტულებული გოჭი? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცს.

— ორი ათას ხუთასი მანეთი, ბატონო.

— მეტი არა?

— არც მეტი, არც ნაკლები.

— აჰა, ხუთი ათასი და გამიხვიე.

— ორი ერთად?

— ორი კი არა, ერთი.

— ერთს, აკი გითხარით, ორი ათას ხუთასად ვყიდი. მე იმდენს ვაფასებ, რამდენიც დამიჯდა, თქვენ რა, სპეკულიანტი ხომ არ გგონივართ? — იწყინა თავმოყვარე გამყიდველმა.

— დამიჯერე, რასაც გეუბნები, — დაუყვავა ვანომ. — გამომართვი ეს ხუთი ათასი, ნახევარი შენ მოიხმარე, მეორე ნახევრით საკვები იყიდე და გოჭები გამოზარდე. ასე თუ არ მოვიქეცით, მეგობარო, მომავალ წელს საქართველოში გოჭის გემო დაგვავიწყდება.

გამყიდველს ბიზნესმენის ლოგიკა ეჭაშნიკა და ფული დარცხვენით გამოართვა.

ასევე გაუძნელდა ვანოს ინდაურის ყიდვა (3 ათასის ნაცვლად 6 ათასი აძლია და იმიტომ), მაგრამ გამყიდველი ქალი გურული აღმოჩნდა და შედარებით იოლად დაიყაბულა.

— არ გაგიკვირდეთ, — მითხრა ბიზნესმენმა, — ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ბუნებით მეწარმე ბიზნესმენი ვარ. მაგრამ მე იმ ბიჭს გოჭების გამოსაზრდელი ფული რომ მივეცი, იმ დედაკაცს ინდაურებისა, ამით ვმონაწილეობ მეწარმეობაში, ასე ვაწარმოებ ბატონო ოთარ. ეს ახალი, ორიგინალური ექსპერიმენტია, ჩემი მოგონილი.

ბატონი ვანო ყოველივე ამას ისე ალალად და მიამიტურად მიამბობდა, რომ მეც გავბედე და ჩემი ბიზნესმენობის ამბავი შევაპარე.

— იცით, ვეუბნები, ფასები ისე სწრაფად და კატასტროფულად იზრდება, რომ მათი შემხედვარე ხშირად შოკში ვვარდები. ალბათ, ამიტომაც ჰქვია ჩვენებურ რეფორმას შოკური თერაპია. ეს გასაგებია, შოკი მართლაც თავსაყრელად გვაქვს, მაგრამ თერაპევტი რომ არსადა ჩანს? ჰოდა, გადავწყვიტე, საკუთარ თავს ვუთერაპევტო.

— მართალი გითხრათ, ვერაფერი გავიგე, — გულწრფელად შეწუხდა ბიზნესმენი.

— ახლავე აგიხსნით. საქმე ის გახლავთ, რომ ერთბაშად გაზრდილ ფასებს ფსიქოლოგიურად ვერ ვეგუები. წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ფულიცა მაქვს, მაგრამ პროდუქტებს ვერ ვყიდულობ. აბა, 20 მანეთიან ძეხვს ერთბაშად 500 მანეთს რომ დაადებენ, რა გულით იყიდით? გინდაც იყიდოთ, ვერ შეჭამთ, რადგან ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი ხართ (მე ჩემზე ვლაპარაკობ). ჰოდა, ავდექი და პრობლემას გასაღები მოვუძებნე: როცა ძეხვი 200 მანეთი ღირდა, მაშინ ვიყიდე, შევინახე და ახლა, როცა 500 მანეთი გახდა, გემრიელად შევექცევი.

აბა, მითხარით, არის თუ არა ეს ერთდროულად ბიზნესიც და თერაპიაც?

ბიზნესმენმა თავი ვეღარ შეიმაგრა და გულიანად ახარხარდა.

ალილო და ხვალეო

— მაშ, გემრიელად მიირთმევთ, არა?

— რა თქმა უნდა, ვიცი რომ პირში არ ჩაიშვება, მაგრამ რადგან 200 მანეთად მაქვს ნაყიდი და ახლა 500 ღირს, გულიანად ვიღმურძლები.

— კიდევ რომ გაძვირდება, მაშინ რაღას იზამთ?

— მოვასწრებ, ახლა როგორმე 500 მანეთიანს ვიყიდი და 1000 მანეთი რომ გახდება, მაშინ დავუწყებ ჭამას.

— აგაშენათ ღმერთმა, კარგად კი გამამხიარულეთ და, ეტყობა ბიზნესის ნიჭი გაქვთ, მაგრამ ჟურნალისტობა გაფერხებთ, თუმცა, სხვა რა გზა გაქვთ, მთავრობას შეაქებთ, არაფერს მოგცემენ, გააკრიტიკებთ — მაინც არაფერს (ხაზინა აქვთ ცარიელი), ისევ საკუთარ თავთან უნდა ითამაშოთ ბიზნესი, თანაც, როგორც ბრძანეთ, ფსიქოლოგიური.

ამასობაში ბაზრიდანაც გამოვედით. მეტროთი მინდოდა წასვლა, მაგრამ ბიზნესმენმა საზღვარგარეთული ლიმუზინი შემომთავაზა. რომ ჩავსხედით, მეტროს ამბავიც გამომკითხა.

— ძალიან გაძვირეს, — დავიწუწუნე მე, — მანეთიანი მგზავრობა სამი მანეთი გახადეს. კიდევ კარგი, ერთ ამდენს სახელმწიფო იხდის, თორემ..

— სწორედ ეგ არის დამღუპველი, რომ სახელმწიფო იხდის,— გაწყრა ბიზნესმენი.

— აბა, რა ქნას გაჭირვებულმა ხალხმა, სახელმწიფომ სოციალურად ხომ უნდა დაიცვას?

— სახელმწიფოს თუ ხალხის დაცვა უნდა, მას ფულის კეთების საშუალება უნდა მისცეს და არა მგზავრობის ფული უხადოს. სოციალიზმის დროს ხალხი სახელმწიფოს ხარჯზე რომ იყო, სწორედ მაგან დაღუპა ქვეყანა. ხომ გახსოვთ, რამოდენა საჭმელ-სასმელი ეყარა და იმის გამო, რომ მუქთი იყო, გემოს ვერაფერს ვატანდით. დადგენილი ამბავია, ცხოვრება რაც უფრო ძვირია, მით უფრო გემრიელია. აი, ნახეთ ათშაურიანი კატლეტი 45 მანეთი რომ გახდა, რა გემრიელად შევექცევით. განა იმიტომ, რომ ხარისხი გაუმჯობესდა (პირიქით, გაუარესდა კიდეც), ძნელად მოსაპოვებელი გახდა და იმიტომ. სიამოვნება ჭამაში კი არა, ჩემო კარგო, ფულის კეთების ძიებაშია. ზოგს თვალები აქვს დაბრმავებული და ამას ვერ ხედავს.

ის იყო შეკამათებას ვაპირებდი, რომ ბიზნესმენმა წითელ შუქზე გაიარა და ინსპექტორმა გააჩერა. იგი თავაზიანად მოგვესალმა, შემდეგ მანქანას შემოუარა და „კაპოტის“ ახდა მოითხოვა.

— ყველაფერი წესრიგშია, — თქვა მან, — ოღონდ ეგ არის ანტიფრიზია შელანძღული და უკანა მარჯვენა საბურავიც ოდნავ გასაბერია.

— კეთილი, — უთხრა ოდნავ შემკრთალმა, მაგრამ მუდამ ღიმილიანმა ბიზნესმენმა და ინსპექტორს ათასმანეთიანი გაუწოდა.

— ეტყობა ჭკვიანი კაცია, — მითხრა ბატონმა ვანომ, — სხვა მაგის ადგილზე ჩაგისაფრდებოდა, წითელზე გაიარეო და ჯარიმის გადახდას მოგთხოვდა. მერე შეიქნებოდა გაწევ-გამოწევა (ყველა ქართველი წითელზე გადის, მაგრამ მერე ამტკიცებს, არ გამივლიაო), ამან კი ყველაფერი მშვიდობიანად, თანაც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამას წინათ პარლამენტის სხდომაზე ვიღაც მოითხოვდა, ავტოინსპექციას ხელფასი მოუმატოთო. ხელფასი რად უნდათ, მაგათ რომ თავაზიანობა და ტაქტი ისწავლონ, საკუთარ თავს კი არა, ჯარსაც შეინახავენ.

ასე რომ, ჩემო კეთილო, ის ეშმაკის კერძი მარქსი რომ არ გამოჩენილიყო თავისი კომუნიზმის თეორიით, ქართველები ისეთი ხალხი ვართ, აქამდე კაპიტალიზმს კარგა ხნის გაცილებული ვიქნებოდით, უბრალოდ, ჩვენი ბუნების გამო მასში ვერ ჩავიტეოდით.

რას მიყურებთ, არ გჯერათ? ნათქვამია: ალილო და ხვალეო. აი, ნახეთ და დარწმუნდებით.

თეატრი

ტრაგიკული ბედის დასი კომედიას თამაშობს

ცხინვალიდან ლტოლვილმა ივანე მაჩაბლის სახელობის დრამატულმა ქართულმა თეატრმა თავისი მორიგი პრემიერა გამართა ყოფილი „პოლიტგანათლების“ შენობის (სადაც დასი დროებითაა შეხიზნული) დიდ, ცივ, პირქუშ დარბაზში, რომელიც, ცხადია, სრულიადაც არ არის გათვალისწინებული თეატრალური შემოქმედებისათვის და შესაფერისი იყო რაიონული მასშტაბის პარტკონფერენციებისა თუ სხვადასხვა ოფიციალური თავყრილობებისთვის. გაყინული დარბაზი, სადაც მაყურებლები პალტოებიანი ისხდნენ, ცხინვალის თეატრის მსახიობებმა მხიარული, ხალისიანი ხმებით და რიტმებით აავსეს, რეზო გაბრიაძის კომედიის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი, ანუ სამოთხის ჩიტი“ პერსონაჟი ქალები დეკოლტეებით და მსუბუქად ჩაცმულნი გამოდიოდნენ და პლასტიკით, ცოცხალი მოქმედებით, ესტრადული სისხარტით თავიანთი მხიარული თამაშის წრეში გვითრევდნენ.

შეიძლება ვინმემ იკითხოს — რა სამხიარულოდ და საკომედიოდ მოუცლიათ ლტოლვილ მსახიობებს, რომელთა თავზე ამდენი უბედურება დატრიალდა, მაშინ როცა მრავალი მათგანი პირადი ტრაგედიისგან დაზაფრულია, მრავალს სახლ-კარი დაუნგრიეს, თუ გადაუბუგეს, ხოლო მამაკაცი მსახიობები იარაღით ხელში უნდა იდგნენ საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად!

მე პირადად კი ამ ფაქტში ვხედავ უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ერთი, მართლაც ნიჭიერად და გონებამახვილურად დაწერილი კომედიის გათამაშებაა. ჩანს, მთლად არ წავმხდარვართ, ვერ გავუტეხივართ ჭირსა და ვაებას, კიდევ შეგვრჩენია ირონია, იუმორი, სიცოცხლის ხალისი, რაც, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი გადარჩენის საწინდარია. მსახიობები ისე ეძლევიან კომიკურ სტიქიას, თითქოს წარმოდგენაც არ ჰქონდეთ იმაზე, თუ რა ხდება დღეს ჩვენს თავს. ამ „დავიწყებაში“ დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე დევს. დასი მოერია თავის თავს, თავის ტანჯვებს, მცირე ხნით გვერდზე გადასდო ტრაგიკული ნიღაბი (რომელსაც სუმბათაშვილის „ღალატის“ დადგმისას მიმართავდა) და თავის მწუხარე სახეზე კომიკური ნიღაბი მოირგო, რათა ყველას გასაგონად ეთქვა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“.

ახალგაზრდა რეჟისორმა თორნიკე მარჯანიშვილმა (მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფი, მეხუთე კურსი) მეტად დინამიური სანახაობა შექმნა, სადაც სცენები გონებამახვილურად ვითარდება და სადაც უმთავრესია ჯანსაღი, მხიარული სულის გამარჯვება ყოველგვარ მერკანტილობაზე და ცხოვრების წვრილმანებზე, სადაც ნამდვილი სიყვარული ყველაზე ოსტატურად აგებულ ინტრიგას ამარცხებს.

რეჟისორმა და მხატვარმა ა. შარჯანიშვილმა სულ უბრალო საშუალებებით (ძირითადია მოძრავი კარვები, რომლებიც მომენტალურად სცვლიან მოქმედების ადგილს) შეძლეს სწორედ კომედიური გარემოს შექმნა, სადაც ყველაფერი ემორჩილება რიტმს, პლასტიკურ გამომსახველობას. თუმცა ანტურაჟი, კოსტუმები, თუ სხვა თეატრალური აქსესუარი თბილისის სხვადასხვა თეატრთა გარდერობიდანაა, სპექტაკლს არ ეტყობა ე. წ. „ღატაკი თეატრის“ კვალი... ყველაფერი კარგად და ბუნებრივად გამოუყენებიათ.

მიუხედავად ხანგრძლივი, იძულებითი პაუზისა, თეატრის დასს სრულიადაც არ ეტყობა პროფესიული დონის დაქვეითება. ცხადია, რომ ყველა მსახიობი თავისი შესაძლებლობის მაქსიმალურ გამომჟღავნებას ცდილობს. ისიც სასიხარულოა, რომ სპექტაკლში ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობენ (ამანაც განაპირობა სპექტაკლის რიტმულობა, ბუნებრივი პლასტიურობა და სიხალისე), რომელთა ფონზე გამოყვეთილ სცენურ სახეებს ჰქმნიან უკვე გამოცდილი და დაოსტატებული მსახიობები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიო მთავარი როლების შემსრულებელნი რ. ოტიაშვილი (თავადი ვახო ფანტიაშვილი), თ. ხიზანიშვილი (სურთიკაანთ ხანუმა), ჰ. გოგიძე (ტერტერაანთ ხეჩო). მე ამჯერად რეცენზიის დაწერა არ განმიზრახავს (ამიტომ დაწვრილებით არ ვაანალიზებ სპექტაკლს), უბრალოდ მსურდა აღმენიშნა ეს სასიამოვნო მოვლენა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში და ჩვენი გულგრილი საზოგადოების ყურადღება მიმეპყრო ამ თეატრისაკენ (მითუმეტეს, რომ პრემიერაზე ვერ ვნახე ისინიც კი, ვინც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვალდებული არიან მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინონ), რომელიც ცოცხლობს ხვალის იმედით და ქმნის თავისი მაყურებლისათვის, რომელსაც იგი დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად შეხვდება..

ნოდარ გურაბანიძე.

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა ტურნირი მოიგო „მეტეხმა“, რომელმაც ფინალში ანგარიშით 3:1 სძლია „მთვარის გლობუსს“.

* * *

გაიმართა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 2 შესარჩევი მატჩი ევროპულ ჯგუფებში.

II ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა ერთ-ერთმა ფავორიტმა — ჰოლანდიამ, რომელმაც ვან ბასტენისა და ბერხკამპის გარეშე სტუმრად დაამარცხა თურქეთი — 3:1. 2 გოლი ვან ფინსენმა გაიტანა. ამ ჯგუფში კვლავ ნორვეგია ლიდერობს.

V ჯგუფის სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა ესპანეთი. მან სევილიაში განახლებული შემადგენლობით იასპარეზა ლატვიასთან და მეორე ტაიმში გატანილი 5 უპასუხო ბურთით აღნიშნა თავისი დიდი უპირატესობა. სტუმრები ორჯერ აიძულა ცენტრიდან განეახლებინათ თამაში ბეგირისტაინმა.

* * *

ქალაქ პორტუ-ალეგრიში 45000 მაყურებელი დაესწრო სამგზის მსოფლიო ჩემპიონების — ბრაზილიისა და გერმანიის გუნდების ამხანაგურ მატჩს.

სამხრეთ ამერიკელთა უპირატესობა აშკარა იყო — 3:1.

ცხადაძე ამარცხებს ბრზენკს

ტოკიოში გამართულ მკლავჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვება მოიპოვა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ზაურ ცხადაძემ.

აქვე ჩვენი გოლიათი მკლავჭიდის მსოფლიო ფედერაციამ ოფიციალურად აღიარა წლის საუკეთესო მკლავჭიდელად მსოფლიოში. ამ აღიარებას წინ უსწრებდა ზესტაფონელი ათლეტის ბრწყინვალე გამარჯვება მსოფლიოში უძლიერეს ამერიკელ ჯონ რიჩარდ ბრზენკთან.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვებიან ზოთა ინწკირველი და ველიხირ კალანდაძე.

შესარჩევი ტურნირის მშვენიერი პარტია

როგორც ცნობილია, ნანა იოსელიანმა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. გთავაზობთ მშვენიერ პარტიას შესარჩევი ტურნირიდან იუგოსლაველ დიდოსტატ ალისა მარიჩთან.

იოსელიანი — მარიჩი. სიცილიური. შანხაი, 1992 წელი, გიორგობისთვე. 1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 c:d4 4. მ:d4 ლb6 5. მb5 a6 6. კe3 ლd8 7. მd4 e6 8. მc3 ლc7 9. კe2 მf6 10. 0-0 d6 11. a4 კe7 12. f4 0-0 13. მფh1 ეe8 14. g4.

შევენინგენის ვარიანტში ეს სვლა იშვიათად გვხვდება.

14. ... მd7 15. g5 ეb8 16. კf3 კf8 17. კg2 g6 18. ლe2 მc5?

ტემპის დაკარგვაა. ამ მხედრის ადგილი f8 უჯრაზეა. აუცილებელი იყო 18. ... კg7, ლაზიერის ფრთაზე კონტრთამაშის შექმნის მცდელობით.

19. მ:c6 ლ:c6 20. ლf2 ლc7 21. ეad1 მd7?

აუცილებელი იყო 21. ... b5 22. e5 de 23. b4 მd7 24. მe4, და თეთრებს ძლიერი ინიციატივა აქვთ. კარგი იქნება, თუ შემსწავლელი დაინტერესდება ამ და მსგავსი პოზიციებით. ეს ვარიანტი პრინციპულია!

22. კa7! ეa8 23. კd4 ეb8 24. ეd3.

თეთრების შეტევის მოგერიება შავებს უკვე აღარ შეუძლიათ.

24. ... b5 25. a:b5 a:b5 26. ეh3.



მუქარაა 27. g:h7!

26. ... h6 27. g:h6 მფh7 28. f5 მe5 29. f:g6 f:g6 30. კ:e5 d:e5 31. ეf3 კe7 32. ეf7 მფh8 33. ეg7. მარიჩი დანებდა.

შტურმის კოეფიციენტი საკმაოზე მეტია.

1000 დოლარი საუკეთესო პარტიისათვის

სპეციალური პრიზი მოიპოვა ზურაბ სტურუამ ევროპის პირველ გუნდურ პირველობაზე (უნგრეთი) ჰოლანდიელ დიდოსტატ პიკეტისთან.

პიკეტი — სტურუა. ლაზიერის გამბიტი. დებრეცენი, 1992 წელი, გიორგობისთვე. 1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 კe7 4. მf3 მf6 5. კg5 h6 6. კ:f6 კ:f6 7. e3 0-0 8. ლc2 მa6!? 9. ეd1 c5 10. d:c5 ლa5 11. c:d5 მ:c5 12. მd4 e:d5 13. a3 მe6! 14. მb5?

საჭირო იყო 14. კe2, განვითარება. პიკეტმა ჯეროვნად ვერ შეაფასა თავისი პოზიცია და სარისკო გაგრძელებას ირჩევს, რასაც შავების მხრივ ძლიერესი სვლების სერია მოჰყვა.

14. ... a6! 15. b4 ლd8 16. ე:d5 კd7!!

ეს წყნარი სვლა თეთრებს ალბათ გამორჩით მხედველობიდან. ახლა კი იძულებულნი არიან მიჰყვნენ დინებას.

17. ლd2 a:b5 18. ე:d7



ახლა შავები ლამაზად იგებენ.

18. ... ლ:d7!!

მოულოდნელია! თეთრები იმედოვნებდნენ 18. ... კ:c3 19. ე:d8 კ:d2 20. ე:d2 ე:a3 21. კ:b5 ეb3, სვლების შემდეგ მიეღოთ თანაბარი დაბოლოება, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

არანაკლებ ეფექტური იყო: 18. მe4 კd4! 19. ed ე:a3 20. კe2 ეa1 21. კd1 ლh4! 22. 0-0 კc6 23. ეe5 კ:e4 24. g3 მg5!! 25. f3 კ:f3! 26. gh მh3×.

19. ლ:d7 კ:c3 20. მფe2 ეfd8 21. ლ:b7 მg5!!

დასკვნითი აკორდი. თეთრი მეფე საშამათო ბადეშია.

22. e4 ე:a3! 23. ლ:b5 ეa2 24. მფe3 კd2! პიკეტი დანებდა, რადგან შამათი გარდუვალია: 25. მფe2 კf4 26. მფe1 ეa1 27. მფe2 ეd2×.

60 წლისაა უნივერსი ჰენრიხ არონშტეინი. 12 წლის ვუნდერკინდი პირველი თანრიგისათვის იბრძოდა ვაჟთა ტურნირებში, წინათ მსგავსი რამ დიდი იშვიათობა იყო.

არონშტეინი — ფრუიძე. სიცილიური. თბილისი, 1950 წელი. 1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 c:d4 4. მ:d4 მf6 5. მc3 g6 6. კe2 კg7 7. 0-0 0-0 8. კe3 მc6 9. h3 a6 10. ლd2 ლc7 11. f4 e6 12. ეad1 მe8 13. f5! მ:d4 14. კ:d4 კ:d4 15. ლ:d4 b5 16. მფh1 ლc5 17. ლd2 e:e5 18. მd5! f:e4 19. ლg5 f6 20. ლh4 მფg7 21. ლ:e4 კb7 22. c4 b:c4 23. კ:c4 ეc8 24. b3 კ:d5 25. ე:d5 ლb6 26. ლe7! ეf7 27. ლ:f7! (ჩათრევის იდეა. იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 21 გიორგობისთვე) 27. ... მფ:f7 28. ე:d6 ე:c4 29. ე:b6 ეc2 30. ე:a6 და 52-ე სვლაზე არონშტეინმა გაიმარჯვა.

საქმიანი ხალხის საყურადღებოდ!

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
საწარმო «პოლიგრაფი»
იღებს შეკვეთებს და ამზადებს
ლითონის ასაწყობ თაროებს საწყობებისა
და სავაჭრო ობიექტებისათვის.

ასაწყობი ელემენტებისაგან შესაძლებელია თქვენი სურვილის მიხედვით სხვადასხვა ფორმისა და ზომის კონსტრუქციის შექმნა.

დამკვეთის სურვილისამებრ უზრუნველვყოფთ კონსტრუქციის ადგილზე აწყობა-გამართვას.

ჩვენთან შეძენილი საქონელი საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით იაფია.

შეძენის საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვმართოთ
შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ცაიშის ქ. 5 (კუკიაზე), საწარმო „პოლიგრაფი“
ტელეფონები: 95-79-55, 96-55-73

სწრაფად,
ხარისხიანად,
ხელმისაწვდომ
ფასად

დავეხმარებით კომპიუტერთან მუშაობის შესწავლაში და მივცემთ სათანადო მოწმობას დამწყებ მდივანს, რეფერენტს, ბუღალტერს და ყველა სხვა მსურველს,
ვასწავლით პროგრამულ ენებს, მონაცემთა ბაზებთან მუშაობას.
იჩქარეთ! დღეს კომპიუტერთან მუშაობის არცოდნა წერა-კითხვის არცოდნის ტოლფასია, ხვალ შეიძლება თქვენთვის წარმატებაზე ფიქრი გვიანიც კი იყოს.
მიმართეთ საზოგადოება „იმკოს“ ან დარეკეთ
12-დან 17 საათამდე სამუშაო დღეებში. ფალიაშვილის 42 (57-ე სკოლის შენობა), ტელ. 29-11-78, I სართული, მარცხნივ.
მოგიმზადებთ და ჩაგაბარებთ:
თქვენი ახალი ფირმისა თუ შ. პ. საზოგადოების რეგისტრაციის საბუთებს, ბეჭედსა და საბანკო ანგარიშს.
ბუღალტერიის თუ საკადრო აღრიცხვის კომპიუტერულ ავტომატიზირებულ სისტემას.
დაგეხმარებით სხვა პროგრამულ თუ ტექნიკურ საკითხებში.

ყურადღება!

ფირმა «იასონის»

სამხატვრო სარეკლამო სახელოსნო მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშების დონეზე გააფორმებს და პოლიგრაფიულად გაამრავლებს:

ნებისმიერი სასმელის ეტიკეტს, ნაწარმის ან სურსათის შესაფუთს, სავიზიტო ბარათებს თქვენი პორტრეტით, პირადობის მოწმობებს, წიგნის ყდას და ილუსტრაციებს, აუდიო და ვიდეო კასეტების გარეკანს, სარეკლამო და დეკორატიულ პლაკატს, თქვენი ფირმის, მაღაზიის ან საქმიანობის სავიზიტო ბარათს, საფირმო ბლანკს და კონვერტებს;

დაგიმუშავებთ საუკეთესო ემბლემას, სასაქონლო ნიშანს, თქვენი ფირმის სახელწოდების საფირმო წარწერას განსხვავებული საუკეთესო შრიფტით, საფირმო ბეჭედის მაკეტს თქვენი ემბლემის გამოსახვით.

გვერწმუნეთ, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერი და ნამდვილი მხატვრული სარეკლამო ორიგინალი წამყვან გრაფიკოს დიზაინერებთან ერთად, სწრაფად და შედარებით იაფად.

ჩვენი მისამართია: ნინო ჩხეიძის ქუჩა 24
ტელეფონი: 96-20-83 (10-დან 23-სთ.-მდე)

რადიო
„თავისუფლება“
(მიუნხენიდან)

GOULNARA K. OURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty
RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY
RFE/RL, INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102-2268
TELEFAX (089) 2285188
TELEX 523228/523904

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე; 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონში;

21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონში;

და დილის 6 ს. და 30 წუთიდან 7 ს. და 30 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11725, 11875, 9595, 9688 და 7180 კილოჰერცის დიაპაზონში.

ცხონება

თენგიზ შუბითიძე

ტრაგიკულმა საგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობისა და ტელევიზიის № 24 ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანების ღვაწლმოსილი მუშაკი თენგიზ შუბითიძე. წავიდა ჩვენგან კეთილი მეგობარი, საქმის ერთგული ადამიანი, საყვარელი მეუღლე, მამა, ძმა.

თენგიზ შუბითიძემ, როგორც ამ დარგის მეკავშირემ, გრძელი და ნაყოფიერი შრომითი გზა განვლო. იგი 1968 წლიდან მუშაობდა ჩვენთან და ამ ხნის განმავლობაში ბევრ ახალგაზრდას შეასწავლა და შეაყვარა მეკავშირის რთული საქმე. თავისი თავმდაბლობით და გულისხმიერებით დაიმსახურა უდიდესი სიყვარული, პატივისცემა ყველა იმ ადამიანისა, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა. ბატონი თენგიზი იყო ლამაზი პიროვნება, შესანიშნავი პროფესიონალი, მეგობრების და თანამშრომლებისათვის უღალატო კაცი.

თენგიზ შუბითიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება კოლეგების და ახლობლების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობისა და ტელევიზიის № 24 ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანების კოლექტივი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

შეკვეთა 66484